138/1914 12 1.

1914

იანვარი, № 1. მოზრდილთათვის.

ნაპაპუელი

წელიწადი მეათე. №2. ივნისი. 1914 წ.

საეკლესიო ბიბლიოთეკა
138
1914

ზამთარი, — სურ. იუ. იუ. კლევერისა.

37726

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

I — ზამთარი, — სურ. ბლეგგრისა. 1

II — ***, — ლექსი აკაკისა 3

III — ბიძია აბროს სტუმრები, — ვ. თამრიშვილისა . . 4

IV — წმინდა ოჯახი, — სურათი. 12

V — ბავშვები, — ბოემა ი. მჭედლიშვილისა . . . 13

VI — ხველის წამალი, — ვ. გრაჭვმისა, თარგმანი ედ. ანტონოვსკისა. 22

VII — ულინათლო, — (თარგ.) თამარ კარბელაშვილისა . . 29

VIII — დამჭკნარი ვარდი, — ლექსი გელასი . . . 41

IX — დასჯილი მისწრაფება, — დავ. კილოსანიძისა. . . 43

X — კოტე ყიფიანი, — ივ. გომართელისა. . . . 46

XI — ელექტრონის სასწაულები, — (წერილი მეორე) ივ. როსტომაშვილისა 51

XII — გასართობი: რებუსი და აღსნა 64

ტფილისი, ელექ.-მბეჭდ. ა. კერესელიძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.



*
* *

ბობამ ქსელი გააბა,
ბუზების დასაჭერადა;
რომ მოატყუოს ფრინველები,
მელია შედგა ბერადა.

ბოროტმა კაცმა ორივეს
ნასაქმსა ახედ-დახედა,
იმათი ნამოქმედარი
გამოიყენა მახედა

და მოძმეს უგებს; საკუპო
თუ ცოტა შემოელია,
ობობასავით ქსელს აბამს,
ფარისევლობით მელია.

აკაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიძია აბროს სტუმრები.

ბიმნაზიის პანსიონი ნელ-ნელა ცარიელდებოდა. მუდამ ასე იყო: მოახლოვდებოდა თუ არა შობა, აღდგომა ან და ზაფხული, ყველა ფაცა-ფუცითა სტოვებდა გიმნაზიის პანსიონს, თითქოს აშინებდათ ამ დროს აქ დარჩენა. სულ ასამდე მოწაფე იყო გიმნაზიის პანსიონში, დიდი და პატარა. დიდები ნაკლებად იჩენდნენ პანსიონიდან წასვლის გამო სიხარულს; პატარებს ხმა-მაღლა ვერ გამოეთქვათ ვერც მოუთმენლობა და ვერც სიხარული, მხოლოდ შუათანები იყვნენ, ყიჟინითა და ყვირილით რომ ემშვიდობებოდნენ ამხანაგებს, მტკიცე ფიცს რომ სდებდნ—ენახალწელიწადს ათ ფუთ გოზინაყს შევჭამთ და ოც ფუთ კამფეტსაო.

დადგებოდა ქრისტიშობის თვე, და ბევრი ზარმაცაძე ბ უქნარაძე ბარგის შეკვრას შეუდგებოდა, მერე დაუწყებდა დღეებს თვალს და გაკვეთილების სწავლაში თუმცა არც წინად იყო ყოჩაღი, ახლა სულ უკლებდა.

შობის წინა დღეებში თუ უცხო ადამიანი გაჩნდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამასწავლებლო ოთახთან, ეს უტყუარი ნიშანი ერთ-ერთი ზარმაცაძე გიმნაზიიდან საშობაოდ მიდიოდა.

ილიკო და ვასო სიშორის გამო საშობაოდ პანსიონში რჩებოდნენ. ამათი დედ-მამა ქალაქიდან 200 ვერსზე ცხოვრობდნენ. „ორი კვირის გულისთვის, თან ამ უტეხ სიცივეში ვაი თუ დაცივდნენ, არა ღირს წამოყვანაო“,—იტყოდა ილიკოსა და ვასოს მამა, როცა-კი შობა მოახლოვდებოდა და ამათი დედა სიტყვას გაატარებდა: „ამ უქმეებში ამოვიყვანოთ ქალაქიდან ი ბიჭებიო.“

ილიკო და ვასო ძმები იყვნენ: პირველი—13 წლისა, მეორე 11—ისა. თუმცა ილიკო დიდი იყო, მაინც ვასოსთან ერთ კლასში იჯდა. ეს გინდათ 'ამის სიბეჯითეს მიაწერეთ, გინდათ—სიზარმაცეს. ეს-კი არის—თამაშობაში პირველი იყო, სწავლაში-კი... მოდი დავჩუმდე, თორემ ილიკოს საშობაო გუნება შეეცვლება.

მაშ ასე; ორი ერთმანეთის მოსიყვარულე ძმა, ამხანაგის გამტანი და ლახტის თამაშობაში ქამრის პირველი გამომტაცი ბიჭები საშობაოდ პანსიონში რჩებოდნენ.

პირველ დღეებში ცოტა არ იყვეს დაღონდნენ, მეტადრე ვასომ შუბლი შეიკრა და მადაც-კი დაეკარგა. საშობაოდ პანსიონში ძალიან ცოტანი რჩებოდნენ, სულ 10—12 ბიჭი, და ესენიც ზოგი ამათი ტოლი არ იყო, ზოგი ვერ 'იყო კარგი საამხანაგოდ.

პანსიონის მზარეული მოხუცი თედო მეტად დიდი მეგობარი იყო ვასოსი. თუ საუზმესა და სადილ შუა ვასოს მოშივდებოდა, თედოს მუდამ შენახული ჰქონდა მისთვის რამე სასუსნავი.

ახლაც მანუგეშებლად თედო გამოუჩნდა:

— ნუ გეშინია, ვასო, დასაღონებელი ჯერ არა გაქვსრა. საშობაოდ ისეთ ღვეზილებს დავაცხობ და ახალწლისთვის ისეთ გემრიელ გოზინაყს გავაკეთებ, რომ შენი მოწონებული.

ილიკო უფრო გულ-მაგრად იყო: მთელი ერთი დღე სადღაც გადაიკარგა; მხოლოდ სადილად თუ გამოჩნდებოდა. სარდაფის ფარდულაში შეპარულიყო და იქ ციგა გაეკეთებინა. მერე როგორი ციგა, არ იტყვით?! ორი ბიჭი შიგ თავისუფლად დაეტევოდა გულის-პირი ისე მოხერხებითა ჰქონდა გაკეთებული, რომ მისი გადაბრუნება არას გზით არ შეიძლებოდა.

შობის წინა დღეს, როცა ვასო თედოს „თავდადებული ქართველნი"-ს უკითხავდა და ილიკო გიმნაზიის ბაღში ციგაობდა, პანსიონში მსახური ჯარის კაცი მოვიდა, უფროსის სახელზე წერილი მოიტანა და პასუხისთვის ცდა დაიწყო, მაგრამ მალე გაისტუმრეს, რადგან უფროსი სადღაც წასულიყო.

სადილ შემდეგ ვასოსა და ილიკოს გამოუცხადეს, რომ მათი ბიძა პოლკოვნიკი აბრამ თვალშავაძე იწვევს საშობაოდ თავის „სახელოვან" ძმისწულებს, ილიასა და ვასილს,—რომ მათ შეუძლიათ ახლავე წავიდნენ, რაკი სახლი იციან, სადაც ბიძა დგას და ახლოც არის გიმნაზიიდან.

წარმოიდგინეთ, ილიკოს სრულებით არ გაჰხარებია ბიძიასთან სტუმრობა: ციგაზე სრიალით ისე იყო გატაცებული, რომ დატოვება ეძნელებოდა. ვასომ ხელად გამოჰკრა რამდენიმე წიგნი და უკვე მზად იყო. ილიკო ყოყმანობდა. თურმე გადაწყვეტილი ჰკონდა ციგის თან წაღება; მაგრამ რა გზით, რა ხერხით—ახლა ამასა ფიქრობდა.

საქმე მალე გაიჩარხა: ერთი ამხანაგი გიმნაზიის ეზოს ღობიდან ქუჩაზე გადაუგდებდა.

მალე უკვე ქუჩაში იყვნენ ვასო და ილიკო. ციგა ღობიდან გადმოუგდეს; მოიგდო ილიკომ ზურგზე... და გასწიეს.

მამა-დავითის მოედანზე რომ გავიდნენ, იქ თვალ-წარმტაცი სურათი გადაეშალათ: თავდალმართი მოედანი გასიპულიყო თოვლით და ზედ ოცამდე მოწაფე ციგებით დასრიალობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა ილიკომ, ძალიან კარგად იცოდა, ბრმა აბრო ამათ ელოდა, ამ ციგაობასაც არ მოუწონებდა; მაინც სულმა წასძლია, რაღაც გიჟურმა სურვილმა ვერცხლის წყალივით ძარღვებში დაუარა, ფეხები აუთამაშა; თვალები გაუბრწყინდა და ვასოს შეეხვეწა:

— ვასო, შენ გენაცვალე, ხომ გიყვარს შენი ილიკო, ერთი ორჯერ დავცურდები!

— ბიძია აბრო რომ გაჯავრდება: აქამდის სად იყავითო?— შეეკითხა ვასო.

მკაცრი გაჯავრება იცოდა ბიძია აბრომ. ძალიან უყვარდა თავის ძმისწულები, მაგრამ სამხედრო რიხი ყველაფერში მოსდგამდა.

ბიძია აბრო — სამსახურიდან გამოსული პოლკოვნიკი იყო, ასე 60—წელს მიწეული, მაგრამ ჯერ კიდევ რიხითა და ზავთით სავსე კაცი. მარტო-ხელა იყო მთელი თავისი სიცოცხლე და არცა ნატრობდა დიდ საზოგადოებას.

უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომში დიდი მონაწილეობა მიეღო და ძალიან ემარჯვებოდა ამ ომის ამბების თქმა.

ხელ-გაშლილად ცხოვრობდა. ოთხ ოთახში იყო გამოჭიმული, მამა-პაპურად ბუხრით შემკულ სახლში; ჩიხირთმა და მწვადი საქმელებში ყველას ერჩივნა; მუდამ „მუნდირით“ დადიოდა; ღამე სრულებით არ ეძინა, ხმა-მაღლა ახველებდა და დღით აუცილებლივ სამ-საათიან ძილს გამოაცხობდა. იცოდა მარტოდ, განმარტოებით წიგნების კითხვა; წიგნები ბლომად ჰქონდა; იტყოდა ხშირად თავის თავზე: „ვცხოვრობ მარტოდ, ვითა გუგული ტყეში და მესვეტი მწირი უდაბნოშიო.“

ორივე ძმისწული, აკი ვთქვი, ძალიან უყვარდა: ვასილი ცხონებულ მამაჩემივით დინჯია და ილია ჩემსავით დაუდეგარიო.

იშვიათად გამოიყვანდა თავისთან ძმისწულებს: თავს გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენ მეტის ფერობითაო. აი ამგვარ ბიძის ურჩობა
და ილიკო. მაგრამ, როცა დაინახა ბევრი თავისი გიმნაზიელები, ზოგიერთი საკომერციო სასწავლებლის მოწაფეც, რომელნიც ილიკოს ამხანაგებს ეჯიბრებოდნენ,— აქ-კი ბიძის ჯავრობაც დაავიწყდა და ყველაფერიცა: ყაბალახი ვასოს მიაბარა და ციგა გამართა.

— თვალშავაძე, თვალშავაძე! აქეთ წამოდი, აქეთ!—ეძახდნენ გახარებული ამხანაგები, რომელნიც კომერციელებს დაემარცხებინათ.

არ ვიცი—რათა, და დიდი ხანია გიმნაზიელებსა და კომერციელებს შორის შუღლი ჩამოვარდნილა. სადაც გინდა შეხვდნენ ერთმანეთს, გინდაც უცნობნი, ჩხუბს გამართავენ. კომერციელებს „ბაყაყებს“ ეძახიან, გიმნაზიელებს—„ბუხრის მწმენდავებს.“

აი ამ მოედანზედაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში გიმნაზიელები და კომერციელები, და მოსამართლეებად რეალურ სასწავლებლის მოწაფენი ამოერჩიათ.

თვალშავაძის მოსვლა დიდი ამბავი იყო, ძალიან დიდი. გიმნაზიელები სასტიკად მარცხდებოდნენ; იმარჯვებდნენ „ბაყაყები.“ ჯერ ერთი—„ბაყაყებს“ უკეთესი ციგები ჰქონდათ; მერე კიდევ—თავი გაეწირათ, ოლონდ-კი „ბუხრის მწმენდავებისთვის“ ეჯობნათ; მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი—ან სირცხვილი, ან გამარჯვება.

თვალშავაძე, გაბედული მოცურავე და რიხიანი მეთაური, „ბაყაყებს“ ცუდ დღეს დააყენებდა.

— იი, თქვე მშიშრებო, თქვენა! „ბაყაყბმა“ როგორ გაჯობეს?!—ცოტა არ იყოს გაჯავრებით მიმართა ილიკომ ამხანაგებს.

სამართლიანი იყო, სამართლიანი ილიკოს ყვედრება. ხელად გამართა ციგა, ავიდა სულ მაღლობზე, ხელში ციგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში მობმული თოკი დაიჭირა და ფეხდგომელა ცოლივით გამოქანდა ისეთი სისწრაფით, გაბედულებით, რომ „ბაყაყებსაც“-კი გაუკვირდათ. ბოლომდის ისე ჩავიდა, არც ციგა გაბრუნებია და არც-კი შეტორტმანებულა.

— ყოჩაღ, თვალშავაძე, ყოჩაღ, გენაცვალე სულში, ბიჭო!—უყვიროდნენ აქეთ-იქიდან ამხანაგები და სიცივისგან ლოყებ-აწითლებულნი ცაში დაფრინავდნენ სიხარულისგან.

— მოიცათ, მოიცათ, ჩვენც ვიზამთ, ჩვენცა! ყვიროდა ერთი დაბალი და ძალზე სქელი „ბაყაყი“, რომელსაც ახალი ციგა ჰქონდა, თავისიანებში მგონი მეთაურობდა და თვალშავაძეს დაცინვით შესცქეროდა.

— მობძანდით, „ბაყაყობო“, მობძანდით?—დაცინვით გასძახა ერთმა „ბუხრის მწმენდავმა.“

სწორედ იმ ადგილისკენ, საიდანაც ილიკო დაცურდა, სქელმა „ბაყაყმა“ ციგა წაათრია. თან თავისიანები გაჰყვნენ. როგორც საჭიდაოდ გამოსულ ფალავანს ამხანაგები მოწინააღმდეგეს უძაგებენ, ამხნევებენ და ტანისამოსს უსწორებენ, ან და გამოცდაზე წასასვლელ შვილს დედა გულს უკეთებს და ნაკურთხ პურს აჭმევს—გულისყური არ დაგეკარგებაო,—ისე სქელ „ბაყაყს“ გარშემოხვეული ამხანაგები გამარჯვებას წინადვე ულოცავდნენ, და „ბუხრის მწმენდავები“-კი ბოროტად იცინოდნენ.

დადგა ციგაზე სქელი „ბაყაყი,“ ხელში დაიჭირა თოკი და დაქანდა.

შუა გზამდე იქნებოდა მისული, როცა ციგა უცებ გაბრუნდა, მეციგემ თავი ვერ შეიმაგრა: გადმოვარდა ციგიდან და გასიპულ თავდალმართზე დაგორდა. მალე თავისიანებიც წამოეშველნენ, მაგრამ იმათ ფეხი დაუცდათ ყინულზე და გორაობით დამარცხებულ ამხანაგებს დაეცნენ...

„ბუხრის მწმენდავების“ სიცილი იყო პასუხი „ბაყაყების“ დამარცხებისა.

ვასო ამ დროს განზე გამდგარიყო სხვა მაყურებლებთან ერთად და ოცნებას მისცემოდა. ფეხები ძალზე ეყინებოდა, ყურებზედაც სციოდა და შიოდა კიდეც.

ქუჩაზე ვილაცამ „შობის ხე“ ამოატარა.

— ეჰ, ბიძიას არ უყვარს „შობის ხე;“ არ გაგვიმართავს, მგონი. რა კარგია ახლა თბილ ბუხართან ჯდომა და კარგი სადილი. რამდენს ვჭამდი: ათ პურს შევჭამდი; არა, ათს ვერა. ხუთს-კი—ჰო. იქნებ ხუთიც ვერა; ერთს-კი უსათუოდ. ხუთ ჩურჩხელას ადვილად მოვერევი. ორი ვაშლიც რომ დავაყოლო ზედ, კოხტად იქნება საქმე. რა სჯობია ახლა: ხუთი ჩურჩხელა და ორი ვაშლი, წითელი გვერდები რომ აქვს, თუ სადილი. რა თქმა უნდა,—ჩურჩხელა და ვაშლები; მაგრამ—რომ მშიან?! არა, სადილი სჯობია, და თუ სადილს შემდეგ ერთი ჩურჩხელა და ერთი ვაშლი მაინც იქნება, მეტი არა მინდა-რა.—ამ ფიქრებში იყო გართული ვასო, რომ მოცურავეებში შექმნილმა ჩოჩქოლმა გამოარკვია.

გამარჯვებულმა ილიკომ ცოტა გადაამეტა. ფეხ-დგომელა ცურაობაში რომ დაამარცხა მოწინააღმდეგენი, ახლა სხვა რამ მოინდომა.

უკულმა დავჯდები ციგაზე, და ისე დავცურდებიო. დაცურდა კიდეც, მაგრამ ცუდად წაუვიდა საქმე: ციგა-კი არ გაბრუნდა, გადაბრუნდა, ყოჩაღმა ილია თვალშავაძემ ცხვირი გაიტეხა და ხელი ილრძო. მალე მიეშველნენ, მაგრამ ცხვირიდან სისხლი უფრო მალე წამოვიდა. ჯერ-კი ტირილი დაიპირა გამარჯვებულმა მოცურავემ, მაგრამ „ბაყაყებს“ რომ თვალი მოჰკრა, „გმირულად“ თავი შეიმაგრა, „არაფერი მტკენიაო,“ წაილაპარაკა, ციგა ვასოს აჰკიდა, გატეხილი ცხვირი ყაბალახით შეიხვია და „დამარცხებული“ ბიძია აბროსთან წავიდა სტუმრად. თან გარკვევით ესმოდა „ბაყაყების“ სიცილი, მოძახილები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი მოცურავეა, ზეუდარებელი, უკულმაცურავი
და უფეხოთაცაო.

დღე და საღამო წყალ-ღვინოსავით ერთმანეთში ირეოდა და ბაღში მდებარე თოვლი უფრო თეთრად მოსჩანდა, როცა ბიძია აბროს სასტუმრო ოთახში ბუხარი გაგუზგუზებულიყო და გრძელ სიმღერას ამბობდა.

აბრო ძია სრულებით არ გასჯავრებია ილიკოს; გაუხარდა კიდეც, ცურაობაში რომ ყველას აჯობა.

ვასო ბუხართან ახლო საკარძელში ზის და მოწყენილ ჩურჩხელას ებრძვის, იქვე ლოგინში მწოლარე ილიკო-კი გატაცებით ისმენს ბიძია აბროს ამბავს, თუ ერთხელ ომში ორი დღე თოვლში როგორ იარეს...

ვ. თაბროშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვები

I

ია, ძია! აქეთ ხომ არ
ჩაუვლიათ ახლა ბავშვებს?
მეეზ-ვემ გამორეკა,
აგინებდა ობლად გამშვებს.
ძონძ-მანძებში გახვეულებს,
სახე ჰქონდათ საამური;
ერთს დაირა ეპყრა ხელში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მეორეს — ჭიანური
ეგრე დაიარებიან,
გარს უვლიან ქვეყანასა,
დაუკრავენ და ამ დაკვრით
აამებენ ხოლმე სხვასა.
საჩუქრებით თავს ირჩენენ,
ხალხს უთვლიან მადლობასა,
მაგრამ ბევრჯელ განიცდიან
შიმშილ-წყურვილს, ვაებასა.
გუშინ სახლში შევიწვიე,
გულს მივიკარ, მივიწვინე,
სიცივეში მობუზულნი
გავათბე და მოვალხინე;
საჩუქრებით გავისტუმრე,
დავეთხოვე ჩემ სტუმრებსა
და დავპირდი დღეისათვის
კიდევ სხვაგვარ საჩუქრებსა.
მაგრამ მალე ვერ გავიგე
მათგან ჩემი ზარის რეკა
და იმ უღვთო მეეზოვემ
თურმე ჯოხით გამორეკა.
და ამ წუთას ჩანარბენნი
არ გინახავთ აქეთ, ძია?
— არა ბავშო, ან მაგისთვის
აბა ახლა სად მცალია!
წადი შინა, არა გცივა?
რას კითხულობ ამ დროს სხვასა?—
უთხრა ყმაწვილს უცხო კაცმა
და გაუდგა თავის გზასა.
ის ბავშვი-კი გამალებით
აქეთ ეცა, იქით ეცა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იმედი ბავშვთა პოვნის
წარეხოცა, წარეკვეცა.
რაკი ვერსად მოჰკრა თვალი
ბეღისაგან გარიყულებს,
შინ დაბრუნდა გულ-დამწყდარი,
და მიეცა კვნესა-წყლულებს.

ორმა დატუქსულმა ბავშვმა,
რა ძალ-ღონე მოიქუჩა,
დაფთხენით და გულ-ხეთქებით
ჩაირბინა ვიწრო ქუჩა.
როცა კარგა შორს დასცილდნენ
იმ სახლებს და მეეზოვეს,
ერთმანეთსა მიუბრუნდნენ,
დასვენება მოითხოვეს.
— ჰორო, ჰორო, დამიცადე
ნელა-ნელა იარე, ძმავ,
ალარავინ მოგვდევს უკან
და სირბილით ნუღარა მკლავ.
— დაიღალე, დაო ხაზო?
მოდი, ნუღა გეშინიან...
საძაგელი მეეზოვე!...
მუხლები მეც, მეც მითრთიან...
დაიცადოს—გავიზარდო,
სულ კუდით ქვას ვასროლინებ,
ისეთ საქმეს დავმართებ, რომ...
გაჩენის დღეს ვაწყევლინებ.
და მოჰხვია ჰორომ ხაზოს
ნუგეშინის ძმური ხელი
და წავიდნენ სხვა ქუჩაზე...
სიარული ჰქონდათ ნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰორო, მშიან... პური მშიან...
იძახოდა გულის სახმილს,
მაგრამ ხაზოს საპასუხოდ
არვინ ჰშობდა გამოძახილს.
არცა ჰოროს, არცა ქუჩას,
და არც ქალაქს დადუმებულს
არ ესმოდა ხაზოს თხოვნა,
ვით უსულოს, გაუქმებულს.
და დუმილით ჩაიარეს
ქუჩა მკვდარი, დათოვლილი,
ყინვით ხელებ-დასიებულთ
სახე ჰქონდათ დახეთქილი.
ცახცახებდნენ, ძაგძაგებდნენ,
ჭირი ჰქონდათ მათ და-ძმური...
ხაზოს ეპყრა ხელთ დაიარა
და ჰოროს-კი ჭიანური.
— ჰორო, ჰორო, აი პური!
ღმერთო, აქ ვის დაუდვია?
მოდი ჰორო და ავიღოთ,
უფალს ჩვენთვის მოუცია.
აბა, სხვას რომ ეკუთვნოდეს,
აქ იდება კედელზედა?
და აღება იმ პურისა
ვერც ერთს ჯერ ვერ გაებედა;
ბოლოს ძალა მოიკრიფეს,
აქეთ-იქით მიიხედეს:
არავინ არ მოდიოდა,—
და გაბედეს... და გაბედეს...
ჰორომ კალთას ქვეშ დამალა,
და თან ფეხსა აუჩქარეს:
იმ ქუჩაზე პურის ყუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხ-აკრეფით გაატარეს.
გაიტეხეს მაშინ ყუა
გადაქცეულებმა ქშინვად,
და ჰამის დროს დანაორთქლი
იქცეოდა ხოლმე ყინვად.

II

ნაწყენი და გულ-ნატკენი
გოგი სახლში გაეშურა,
გული ცრემლით აევსო და
სიბრალულით გაეწურა.
დიდხანს იყო ნაღვლიანი,
მწუხარე და არას მთქმელი,
დიდხანს იყო ღრუბლიანი,
დიდხანს ჰქონდა თვალი სველი;
და ბოლოს-კი თავის დედას
უთხრა გულის საწადელი,
უთხრა, თუ რათ იყო სევდით,
უთხრა გულის სატანჯველი.
— იცი, დედი, მე თვით უთხარ
გუშინ, რომ დღეს მოსულიყვნენ,
რომ დღეს ჩემთან მოელხინათ,
სიხარულით მორთულიყვნენ.
აი, მათთვის დავამზადე
მე ეს ძველი ტანსაცმელი,
რომ ამითი დაეფარათ
ტანი ცივი და შიშველი.
მოსულიყვნენ: მეეზოვე
ჩვენ გოლას-კი გაერეკა—
რა ბოროტი კაცი არის
ეგ შეჩვენებული ეგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა ცოდო არ არიან
პაწაწინა ხაზო, ჰორო,
ახლა იმათ როცა ვნახავ,
თვალი ვითლა გაუსწორო?
მე დავპირდი საჩუქრებსა,
მივე სიტყვა პირუთვნელი,
და გოლამ-კი... ოჰ, ეგ ბრიყვი,
ეგ მგლებისგან შესაჭმელი!
ნეტავ მალე გავსულიყავ;
ეს თვით ჩემი ბრალიც არის,
თორემ როგორ გაჰბედავდა
იმას მცველი ეზო-კარის?!. —
და გაჩუმდა... მოწყენილმა
ფანჯარაში გაიხედა:
თეთრი ზვავი დასწოლოდა
მიყრუებულ ქალაქს ზედა.
— დედი, ხვალე მე მოვსძებნი
ჰოროსა და პაწა ხაზოს,
რომ დაუკრან დასაკრავი —
მათმა გულმა იმალხაზოს.
— ნუ იდარდებ, შემოგევლოს,
დაგენაცვლოს დედაშენი;
ხვალე უნდა კვლავ გიყიდო
სხვა ფუნჯები და სხვა ცხენი.
შემდეგ თეატრშიც წაგიყვან;
არ წამოხვალ იქა, შვილო?..
— ჰორო, ხაზო მოიყვანე,
და წამოვალ... ჰო, დედილო?
— კარგი, შვილო, კარგი, კარგი!
ოლონდ-კი შენ ნუ იდარდებ,
და რაც გინდა აგისრულებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცა გინდა—აგიცხადებ.
— მაშ, დედილო, ხვალ ვიყიდი
კიდევ ახალ საჩუქრებსა
და გულუხვად ვუმასპინძლებ
პაწაწინა ჩემ სტუმრებსა!
გოგი იმედ-მოფენილი
გამხიარულსალამურდა
და იმ ღამის გათენება
ჩქარა ჰსურდა, ჩქარა ჰსურდა.

III

ხაზოს, ჰოროს დაულამდათ
და ვერ გასცდნენ შუა ქალაქს;
ჩამოაწვა მდუმარება
გარემოს თეთრს, როგორც სადაფს.
— ჰორო, ბნელა... სად წავიდეთ?
შეეკითხა ხაზო ჰოროს,—
— სიცივეცა ტანში მჩხვლეტს და
ლამის გული დამიხაზოს,
რა კარგია ახლა ცეცხლი!
აჰ, ზაფხულო, ჩქარა მოდი!
— შენ არ იყავ—ცხელ ზაფხულში
კიდე ზამთარს იძახოდი?
ნატრულობდი დაჟინებით:
კარგი არის ზამთარიო,—
პაპანაქებისაგანა
თავპირი მაქვს დამწვარიო?!.—
და გაჩუმდნენ... მხოლოდ ჟრჟოლა
არღვევდა მათ სიჩუმესა,
მაგრამ არვის არ ესმოდა
მათი ჟრჟოლა, მათი კვნესა.

ხველის წამალი.

ბატარა ჰელო კოურტი არასოდეს არ ყოფილა ქალაქში; ის დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა განმარტოებულ სახლში დიდი ტბის პირად ჩრდილო ირლანდიაში და, როგორც ეს ტბა, ისიც ხან ჩუმი და ჩაფიქრებული იყო, ხან მოძრავი და მხიარული.

როდესაც ახალი მასწავლებელი ენსვორტი მოუვიდა, ჰელომ უამბო, რომ დიდედასთან სცხოვრობს, რადგან მისი დედა სხვა დედებს არა ჰგავს, ის გამოჩენილი მომღერალია და ამიტომ მათთან ცხოვრება არ შეუძლია.

— იცით, ის მღერის,— ეუბნებოდა ჰელო და თან ჩაფიქრებული გადაჰყურებდა საკმლიდან მის წინ მდებარე ტბას,— ის მღერის ანგელოზივით, როგორც ამბობენ, მაგრამ ანგელოზები არ მოგზაურობენ ქვეყნად და შვილებს სახლში არა სტოვებენ. დედა ძალიან ბევრ ფულს იღებს, ყველგან დაჰყავთ საუკეთესო ვაგონებით, ხალხი ყველგან თავს იყრის მის სანახავად. ასე ხდება ყოველთვის, როცა ადამიანს კარგი ხმა აქვს. თქვენ გინდათ ასე მღეროდეთ, ქ-ნო ენსვორტ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასაკვირველია—მინდა.

— უდედოდ არ ნაღვლობთ?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— ძალიან; მისი სურათი ყოველთვის თან დამაქვს მედალიონით თუმც ამ საქციელისთვის სხვა ბიჭები „გოგოს“ მეძახიან, მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია, მზად ვარ დედის გულისთვის ყველაფერი ავიტანო. იცით, დედა დამპირდა საახალწლოდ მოსვლას. ავსტრალიიდან მოდის და საშობაოდ ვერ მოგვისწრობს. ახლა ლონდონში ვწერ წერილებს და ყოველ წერილს ამ სიტყვებით ვიწყებ: „არ დაგავიწყდეს ახალი წელიწადი“! დედას ძალიან ბევრი საქმე აქვს და ადვილად შეიძლება გადაავიწყდეს. ზამთრობით მეტად მოწყენილი ვარ უმისოდ, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ყოველთვის ასე წვიმდეს, როგორც ახლა. აი, როცა დედა მოვა, გავმხიარულდებით. მგონია ვერც-კი შევნიშნო, როგორ გაივლის შობა: სულ დედის მოლოდინში ვიქნები.

მოვიდა შობაც და ლონდონიდანაც წერილი: ქ-ნი კოურტი ატყობინებდა ინგლისში მშვიდობიანად დაბრუნებას. დიდედა ჰელოსი ხმა-მაღლა კითხულობდა წერილს; პატარა, მის მუხლებზე დაყრდნობილი, ხარბად უგდებდა ყურს და აღტაცებით ადევნებდა თვალს მის ტუჩებს, სახე უბრწყინავდა, ტუჩები უღიმოდა, მაგრამ უცებ გაიგონა უკანასკნელი სიტყვები: „შესაძლებელია ვერც-კი მოვახერხო საახალწლოდ თქვენთან მოსვლა. მწერთ, რომ საძაგელი დარიაო; მე-კი ხმას უნდა გაუფრთხილდე, ცოტათი გაციებული ვარ: მკურნალი არ მირჩევს ირლანდიაში წამოსვლას.“

დიდედამ დაათავა წერილის კითხვა ამ სიტყვებით:

— ქრისტინე მართალს ამბობს: ადამიანი გონივრულად უნდა იქცეოდეს.

პატარა ჰელო არც-კი შეინძრა, მხოლოდ ტუჩები აუთრთოლდა და იატაკს დაჰყურებდა.

— დღესვე მივწერ,—სთქვა მოხუცმა.—შენც მოაწერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ წერილზე რამდენიმე სტრიქონი, ჰელო; დედა ხვალ ნდა-ლითვე მიიღებს.

ჰელომ თავი დაიქნია და უცნაურის კილოთი სთქვა:

— შეიძლება, რომ მე ცალკე გავგზავნო წერილი?

— რასაკვირველია.

ბავშვი კარებისკენ წავიდა,—სიარულზედაც-კი დაეტყო ისეთი მწუხარება, რომლის გამოთქმა სიტყვით შეუძლებელია,

— ზეგ ახალწლის წინა ღამეა,—ფიქრობდა ის,—დედას კი ცუდი დარისა ეშინია და ეს სულ ხმის გამო!—მიიკუნჭა თავის სამოსწავლო ოთახის ბნელ კუთხეში, ცრემლები შეიკავა, რომ არ დაეშალა წერა და აღელვებულმა შეუდგა ბავშვურად დიდრონი ასოებით წერას პატარა წიგნაკიდან ამოხეულ ქაღალდზე.

— დედა მოვა, ამას რომ წაიკითხავს,—ფიქრობდა ბავშვი.

მეორე ღღეს პატარა სულ სარკმელში იყურებოდა, თითქოს ელის ვისმეო, ვერაფერით ვერ ერთობოდა, უსაქმოდ შედიოდა-გამოდიოდა ოთახებში; ბოლოს მისი მოლოდინი სიხარულით დამთავრდა; დიდედამ მიიღო ტელეგრამმა: „ხვალ თქვენთან ვიქნები“-ო, სწერდა მათ დედა. ბავშვის სახეს ბედნიერება გადაეფინა, სიხარულის ცრემლები მოადგა თვალებზე.

დღემ შეუმჩნევლად გაირბინა. ჰელო ადრე დაწვა, რომ ჩქარა გაევლო დროს და ქ-ნი ენსვორტი რომ მივიდა მასთან, აღელვებულმა და ბედნიერმა უთხრა:

— ხვალ საღამოზე ამ დროს დედა მოვა ჩემთან, ლამაზი კაბა ეცმევა, რბილი და სუბუქი როგორც ბუმბული, მაგრამ ყოველთვის-კი ნებას მაძლევს დავსრისო რამდენიც მინდა.- ბედნიერმა გაიღიმა და თავი ბალიშში ჩაჰყო.

— მიკვირს, რომ დედაშენმა გადიფიქრა და მაინც მოდის აქ,—უთხრა ენსვორტმა.

— ჩემი წერილის გამო მოვა,—აღტაცებით ეუბნება ჰელლომ,—იცით რა მივწერე? მივწერე, რომ მე მსურს ... ძაგელი ხმა სამუდამოდ დაეკარგოს. მაშინ სულ ჩვენთან იცხოვრებს, როგორც სხვა დედები. „ნუ ზრუნავ, დედა, შენი ხმისთვის, დეე დაგეკარგოს,--სამაგიეროდ ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, მეთქი,“ ამით გაიგებს რა რიგად მიყვარს მე ის. ცრემლებით დავალბე წერილი, სულ დაიქმუჭნა. როგორ გგონიათ, დაეკარგება ხმა გზაზე?—ჰკითხა პატარამ და აკანკალებული ეჭიდებოდა ქალის კაბის სახელოს; მის ხმაში იმედიანი სიხარული ისმოდა.—რა კარგი იქნება, ხმა რომ დაეკარგოს,—ჩაფიქრებული განაგრძოადა ბავშვი.

— საძაგელო,—სთქვა მასწავლებელმა და მოიშორა ბავშვი,—მე მეგონა, რომ დედა გიყვარს, მაგრამ ვხედავ, რომ შევცდი. ღმერთმა საოცრად დააჯილდოვა დედაშენი და შენ კი გინდა წაერთვას ხმა. აღარა მსურს შენთან ლაპარაკი. თუ დედას ხმა დაეკარგა, ეს ნიშნავს, რომ ღმერთი გსჯის იმის გულისთვის არ უნდა წამოსულიყო, არა, ამისთანა საძაგელი ბავშვისათვის!

ამ სიტყვებით ენსვორტი ოთახიდან გავიდა, კარი გაიხურა და არც-კი გამოემშვიდობა ბავშვს. საწყალი ბავშვი დარჩა უძრავად მწოლარე, მხოლოდ თავი ბალიშ ქვეშ დამალა, რადგან შეშინდა. მასწავლებლის სიტყვებმა იმოქმედა მასზე. ჰელოს ფიქრშიაც არ მოსვლია, რომ მოუფიქრებელი სიტყვებით რამეს ავნებდა დედას. მას ისევ ესმოდა მასწავლებლის სიტყვები: „თუ დედა ხმას დაჰკარგავს, ეს ნიშნავს, რომ ღმერთი გსჯის იმის გულისთვისო.“

წამოჯდა ქვეშაგებში და შიშით ყურს უგდებდა საშინელ ქარის ზუზუნს. ქ-ნი ენსვორტი მართალია, - ფიქრობდა პატარა:—თუ დედა იმ „ღვთიურ ხმას,“ როგორც ამბობენ დაჰკარგავს, ხომ ღმერთი გამიწყრება ამისთვის. უეჭველად უნდა მოვიფიქრო რამ საშველი ამ ხმისთვის.

ბავშვი კანკალებდა, საბანში ეხვეოდა და გახურებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში სხვა-და-სხვა აზრი მოსდიოდა. უცებ სახე გაუნათლდა: მიაგნო საშუალებას ამ საშინელ მდგომარეობის ასაცილებლად.

ტბის მეორე მხარეს, პატარა ქალაქ ფერიპორტში ჰქონდა დუქანი ქ-ნ კაირნოსა. ერთხელ იმან აჩვენა ჰელოს პატარა ჭიქა წითელი წამლით და უამბო, რომ ეს საუცხოო წამალია ხველებისა და ყელის ავადმყოფობისათვის და ვინც ამას იხმარს, არასდროს ხმა არ დაეკარგებაო.

მაშ მხოლოდ ამ წამლის შოვნაა საჭირო. მართალია, ეს ადვილი არ არის, ტბას უნდა გავიდეს, მაგრამ დედის გულისთვის ყველაფერს იკისრებს. იმან კარგად იცოდა, რომ ყოველ დილით ბებერი მიკკი, ან როგორც მას უწოდებდნენ — „გიჟი მიკკი“ ამ ტბაზე გადის, რაც უნდა დარი იყოს — ამიტომაც დაარქვეს გიჟი. მაშასადამე მხოლოდ ნავთან უნდა მივიდე, შიგ დავიმალო, და რაკი წამალს ვიშოვი, ყველაფერი კარგად მოეწყობა: დედა ხმას არ დაჰკარგავს და ყველანი ბედნიერნი და კმაყოფილნი ვიქნებით. ამ ფიქრით გართულ ბავშვს ტკბილად დაეძინა. სიზმრად ნახა დედა სუბუქ და ლამაზ კაბაში გამოწყობილი, გიჟი მიკკიც და ჭიქაც წითელი წამლით.

მეორე დღეს თავსხმა წვიმაში ჰელო გარბოდა მიკკის ნავისაკენ, ჩაჯდა შიგ, დაიმალა ბრეზენტქვეშ, მხოლოდ ეშინოდა, რომ ამისთანა ქარიშხალში გიჟი მიკკი ვერ გაბედავდა ტბაში მოგზაურობს.

მოაგროვა რაც თეთრი ფული ჰქონდა ქ-ნ კაირნისათვის და რამდენიმე შავი ფული მიკკისთვის და ახლა ელის გულის ფანცქალით წასვლის წამს.

საწყალი ბიჭუნა ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ როდისმე განიცდიდა ამ საშინელებას, რომელიც ახლა მოელოდა, იმ დროს, როდესაც გიჟ მიკკის ისე გაბედვით მიჰყავდა იალქნიანი პატარა ნავი აბობოქრებულ ტბაზე. ჰელოს კარგად ესმოდა რა განსაცდელი მოელოდა და შიშით შეჰყურებდა მღელვარე ტალღებს. არ გაუვლია რამდენსამე წამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბავშვი მთლად დასველდა, აკანკალდა სიცივისგან. ბავ-
რამ მამაცურად უჭერდა ერთმანეთს კბილებს და თავისთვის
ამბობდა: — ეს დედას გულისთვის, მისი ხმის გულისათვის; მხო-
ლოდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

ქ-ნი კოურტი საღამოზე მოვიდა შინ. მის ხმას, მიუხე-
დავად ხანგრძლივი მოგზაურობისა, არა დაუშავდა-რა; კმაყო-
ფილიც იყო, რომ არ დაიჯერა მკურნალის რჩევა და ჩინე-
ბულ გუნებაზე უახლოვდებოდა სახლს, სადაც მისი ძვირ-
ფასნი ცხოვრობდნენ.

უპირველესი ფიქრი მისი შვილი იყო. რომ დაინახა იქ
მყოფთა შეშინებული სახეები, მაშინვე შეჰკივლა:

— ჰელო სად არის?

— არ ვიცით, — უთხრეს კრძალვით. — დილით ადრე წავი-
და, მებაღეს ენახა ამ თავსხმაში ტბის ნაპირას დაუკვირდა, თუ-
რმე, როგორ გაუშვით სახლიდან ამისთანა დარში. მაგრამ არა-
ფერი-კი არ გვითხრა, მანამ არ გაიგო, რომ ჩვენც ჰელოს დაეე-
ძებთ. ვეძებეთ ტბის პირას, მაგრამ ამაოდ.

ქ-ნმა კოურტმა აღარა გამოჰკითხა-რა: შეხედა მასწავლე-
ბლის ატირებულ სახეს, დედას მწუხარებით გაქვავებულს და
უსიტყვოდ გაექანა ტბისაკენ. ვერც კი მოასწრო წყალთან
მისვლა, რომ გამოჩნდა პატარა ბავშვი, მთლად დასველებუ-
ლი, სიცივისაგან აკანკალებული; ხელში რაღაც ეჭირა და
სიხარულით ჰაერში იქნევდა.

— საყვარელო დედა, ეს შენთვის, — უყვიროდა ბავშვი
და სიხარულით სულს ძლივს იბრუნებდა. — ძალიან ვწუხვარ,
რომ დავიგვიანე, კინაღამ დავიღუპენით, მიკის ანძა გაუტუ-
და... სამაგიეროდ წამალი გიყიდე. ეს სინჯე, ძალიან თურმე
შველის. და დედას გაუშვირა პატარა ჭიქა წითელი წამლით. ჭი-
ქა ძლივს-ღა ეჭირა გაყინულ ხელში.

ქ-ნი კოურტი ამ სიტყვების გაგონებაზე ხმა-მაღლა ტირ-
თინდა. ბავშვი ძალიან აღშფოთდა.

— დედა, განა გაცივდი? —უთხრა აღელვებულმა ბავ-
შვმა.— აი წამალი, ჩქარა დალიე!

— არა, ჩემო ძვირფასო შვილო,—უთხრა დედამ,—მე
სული ველარ მოვითქვი სახარულით, რომ ერთად მივეგებე-
ბით ახალ წელიწადს.

ელ. ანტონოვსკისა.

უსინათლო.

გი უსინათლო დაიბადა.

მას შემდეგ, რაც თვალის ჩინი დაჰკარგა, მარტოობასა და მუდმივ წყვდიადში ცხოვრობდა.

მაგრამ მემკვიდრეობით კი არ ჰხვდა ეს უსინათლობა: დედა მისი ლურჯ-თვალა, ლამაზი და ტანადი ქალი იყო. მამა-კი, შთამომავლობით არისტოკრატი, არასოდეს არ ყოფილა ავად. მისი უბედურება სწორედ ის საიდუმლო მოვლენა იყო, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ადამიანს დრო-გამოშვებით განსაცდელად მიეგზავნება ხოლმე.

მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ იგი უსინათლო იყო.

მზის ცხოველი სხივები რაღაც სიტკბოებას ჰფენდა მას; ყვავილები-კი რაღაც სურნელოვან ნელსაცხებლად წარმოედგინა. უხილავი ქვეყანა მისთვის მრავალ დაბრკოლებით იყო სავსე, რომელიც ყოველ წუთს გზაზე ელობებოდა.

სინათლე და ჩრდილი, დღე და ღამე, ფერი და მოყვანილობა, მანძილი, სილამაზე და სიმახინჯე,—მისთვის ეს სიტყვები სრულიად უმნიშვნელო იყო.

თუ ფული—ს მდიდრეა—იგი მდიდარი იყო, მაგრამ უფრო ცოდისა და დის სიყვარულის იმედი ჰქონდა, ვიდრე მამულებისა. უბედურებით გულ-გატეხილი მამა ბავშობაშივე მოუკვდა.

ბავშვი ლამაზ მხიარულ ყრმად შეიქმნა, შემდეგ ლონიერ ვაჟკაცად გახდა, მაგრამ მეტად მგრძნობიარე გულისა იყო. მუსიკა მისთვის სიხარული, ლხენა, იმისი ცხოვრების წყვდიადის მანათობელი მალამო შეიქნა და ჰკურნავდა მის აღშფოთებულ სულს.

თავისი სიცოცხლე თითქმის საკუთარ სახლში გაატარა, დასავლეთ ინგლისში. სიამოვნობდა ზღვის მრავალ-ხმოვან მუსიკით და ზღვიდან წამონადენ ნოტით, მლაშე სუნით. ქალაქი რაღაც უცნაურ შიშსა ჰგვრიდა, თუმცა ამის შესახებ არავისთან არა უთქვამს რა. ქუჩებზე შეუწყვეტელი ხმაურობა ყურთა სმენას უხშობდა. მან სცადა გორებზე ასვლა; მთების სიჩუმე თითქოს უმშვიდებდა მღელვარე სულს, მაგრამ მყუდროებაც მალე ღლიდა და თანაც მარტოობა აშინებდა: იდუმალი აზრები აწუხებდა და იმის თავში თითქოს წკრიალს იწყებდა. მაშინ ის შინ, ზღვის პირად დაბრუნებას სთხოვდა თავის დედას და დას.

ოკეანეს ღრიალში, ნავთ-სადგურის გუგუნში, ცივ ნემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებივით მჩხვლეტავ ზღვის წინწკლებში ჰპოვებდა ის სულის სიმშვიდეს.

ასე ერთგვარად და უფერულად მიმდინარეობდა მისი სიცოცხლე ოცდა ხუთი წლის განმავლობაში. დამშვიდდა, ყოველგვარი მოლოდინი უარჰყო და შეურიგდა თავის ხვედრს.

ბევრმა თვალის ექიმმა გამოიკვლია მისი თვალის ავადმყოფობა და ყველამ გადასწყვიტა, რომ მორჩენა შეუძლებელია. ხმა-ამოუღებლივ, ჩუმად იტანდა ის ამ გადაწყვეტილებას და მხოლოდ დედის სურვილს ასრულებდა, ექიმობდა, მაგრამ თვითონ-კი აღარაფრის იმედი არა ჰქონდა. გრძნობდა, რომ იმედს უსათუოდ სასოწარკვეთილება მოსდევს, და ამიტომ ყველაფრის უარყოფა არჩია, რადგანაც ეს სულიერად მაინც ამშვიდებდა.

როდესაც ოცდა ხუთი წლისა გახდა, დედას სადღაც გაეგონა ლაპარაკი, ერთი განთქმული იტალიელი ექიმის შესახებ, რომელსაც არა ერთი უსინათლო მოერჩინა. ამათ ოჯახის მეგობარი თვალის ექიმი ვაიმანი იტალიაში გაგზავნეს, რომ გაეგო რამდენად მართალია ეს ხმები.

— არც ძალიან სასიამოვნო ადამიანია ის პერეია,—უამბობდა დედას დაბრუნებისას ვაიანი, მაგრამ არც ისე მატყუარაა, როგორც იმისი მეტოქენი ამბობენ. მე თვითონ ვნახე...—და ვაიმანმა აუწერა პერეიას წამლობის გამო მომხდარი სასწაული, რის მოწამეც თვითონ იყო. პერეია მხოლოდ ერთი პირობით იკისრებს ფერდინანდის წამლობას.

— რა პირობით?—წასჩურჩულა დედამ.

— ის ამბობს, რომ ფერდინანდის მორჩენის იმედი არ არის, თუ იგი მართლა ბრმა დაიბადაო.

დედას და დას ფერი ეცვალათ.

— ფერდინანდი უსინათლო დაიბადა,—დაბნეულად მიუგო დედამ.

— მართალია, ექიმს არასოდეს არ უნახავს ფერდინანდი, მაგრამ ეჭვობს—ასე არ უნდა იყოსო. ამბობს, რომ უსინათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ დაბადება ძალიან იშვიათი მოვლენაა, თვითონ ... ძლებელიც... ამაში მეც ვეთანხმები. ის ფიქრობს, რომ ფერდინანდი რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც თვალ-ხილული იქნებოდა.

— როგორ შეგვიძლია იმისი ცოდნა? დიდხანს სრულიად არ შემინიშნავს ეს საშინელი უბედურება, თუმცა სულ სახეში უყურებდი...—სთქვა დედამ.

— პერეია ფულის ყურ-მოკრილი ყმაა, თუმცა ეს ძალიან გასაკვირია ამისთანა დიდი კაცისაგან.

— არას დავიშურებ, ოღონდ ჩემი ფერდინანდი მომირჩინოს. დაუყოვნებლივ შეატყობინეთ მოვიდეს: ხომ არას ავნებს.

როცა ვაიმანს გამოემშვიდობნენ, დედა და ქალი ფერდინანდთან შევიდნენ, რომ მოემზადებინათ.

— კიდევ ერთი! — მწარე ღიმილით წარმოსთქვა ფერდინანდმა. — მე მეგონა, ყოველი კავშირი გავწყვიტე მეთქი ექიმებთან.

მაგრამ, როდესაც ოთხი დღის შემდეგ პერეია ჩამოვიდა, იგი სრულიად მიენდო ექიმს!

— ვგონებ რომ მორჩენა შეიძლება,—სთქვა ექიმმა პირველი გასინჯვის შემდეგ, და დაიწყო ავადმყოფობის ვრცლად აღსნა.

— მომიტევეთ,—დასძინა ექიმმა,—მე იმისთანა ადამიანად გთვლით, რომელსაც შეუძლია სიმართლე მოისმინოს თავის ავადმყოფობის შესახებ.

— დიაღ, მეც ასე ვფიქრობ,—უპასუხა ფერდინანდმა.

— შესძლებთ დიდი უსიამოვნობის ატანას?

— ბევრი უბედურება ამიტანია.

— მაშ...—სთქვა ექიმმა:—თუმცა მგონია, რომ შევძლებ თქვენთვის მხედველობის დაბრუნებას, მაგრამ...—იგი ყოყმაბდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მაგრამ?—იკითხა ფერდინანდმა.

— თანაც ვშიშობ,—განაგრძო ექიმმა, არ ძინდა იმ გარემოების დამალვა, რომ შეიძლება თქვენი განკურნება დროებითი იყოს. აი როგორაა საქმე:—იმან ისევ მეცნიერული სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი,—მხედველობა დაგიბრუნდებათ, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ შეიძლება მხოლოდ პატარა ხნით. შეგიძლიათ ამას შეურიგდეთ?

— ეს მეტად სამძიმო იქნება,—მიუგო ყმაწვილმა,—მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამასაც ავიტან. ყველაფერს შევიძლებ, თუ რაიმე იმედი გაქვთ...

— იმედი დიდია, — ოღონდ ყოველი დარიგება უნდა აასრულოთ.

— სრული იმედი გქონდეთ ჩემი.

წამლობას მეორე დღესვე შეუდგნენ.

წამლობა მეტად ძნელი და რთული გამოდგა; ექვსი კვირა უნდა წოლილიყო ფერდინანდი გაუნძრევლად, ქუთუთოებზე ცივ ტილოებითა და რაღაც მალამო-დაფარებული და თავშეხვეული. ამასთან სასტიკი დიეტა *) ჰქონდა ნაბრძანები და ყოველი მოძრაობა აკრძალული.

ფერდინანდი იშვიათი ავადმყოფი იყო. ერთხელაც არ უჩივლია, ერთხელაც არ უკითხია ექიმისათვის, თუ როდის მოეღებოდა ბოლო იმის წამებას.

მეექვსე კვირის უკანასკნელ დღეს ერთმა მოულოდნელმა ამბავმა მთელი ოჯახი ააშფოთა. პერეია ჩვეულებრივ აღარ მოვიდა საუზმეზე; მასთან გაგზავნილი მოსამსახურე უკან დაბრუნდა არა სასიამოვნო ამბით: ექიმი წასულიყო; თავის ხელით ჩაელაგებინა ჩანთა და თვითონვე წაელო სადგურზე.

— აი ეს წერილი ვიპოვე,—დაუმატა მოსამსახურემ და ბარათი ფანჯარაზე დასდო.

ექიმი თავის გამოსათხოვარ წერილს დიდის ბოდიშით

*) ავადმყოფობის და აგებულების შესაფერი კვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყებდა. სწუხდა, რადგან ფერდინანდის მიტოვება უცაბედად მოუხდა. ამერიკელი მილიონერი 125 ათას დოლლარს დამბირდა შვილის მორჩენისათვის და დაუყოვნებლივ უნდა წავსულიყავიო.

ამასთან აქ აღარავითარი საქმე არა ჰქონდა. როდესაც უკანასკნელი მალამო მოჰვარდება, შეიძლება შეხვეული მოხსნათ, და, თუ ფერდინანდს მორჩენა უწერია, სწორედ იმ წამსვე აეხილება თვალებიო. შემდეგ დარიგება იყო, და ბოლოში-კი ისევ იმეორებდა, რომ მორჩენა შეიძლება დროებითი იყოსო. ბარათმა ცოტათი დაამშვიდა ქალები. მაშასადამე ჯერ კიდევ იყო იმედი. დაიმედებულთ და დამშვიდებულთ ავადმყოფის ოთახისკან გასწიეს, რომ შეძლების დაგვარად ფრთხილად შეეტყობინებინათ ექიმის წასვლის ამბავი.

ფერდინანდი მშვიდად იწვა და ყურს უგდებდა.

— ეჭვი აღარ არის, რომ ის კაცი ცრუა,— სთქვა მან გულ-გრილად:—მაგრამ მანამ არ დავრწმუნდები, არ მინდა მისი გაკიცხვა; სულ რამდენიმე დღე-ღა დარჩა.

როდესაც უკანასკნელი წუთი მოახლოვდა, ფერდინანდი საშინელმა ეჭვმა შეიპყრო. გამოურკვეველი შიში მომავლისა შეხვეულ თვალებისათვის ხელის ხლებას ვერ აბედვინებდა —როგორ აკიტან იმ წუთს, როდესაც თვალ-წინ მთელი სამყარო გადამეშლება, ან კიდევ იმას, თუ კვლავ უსინათლობა მომელისო,—ფიქრობდა ის.

— არა, ამოიკვნესა მან,—არ შემიძლია... მე... მე... მეშინია, დედა! იქმნება უმჯობესი ყოფილიყო სრულიად უარი მეთქვა ექიმობაზე.

დედა ნაზად შეეხო თავის შვილს და ალერსი დაუწყო.

— თქვენ მაშინებთ,—შეჰყვირა ფერდინანდმა და ხელები თვალებზე მიიფარა.—დაღონებულმა დედამა და დამ მწუხარედ დახარეს თავი

— როგორ გავიგო, თუ რა მომელის შემდეგში,—წაიდუდუნა ფერდინანდმა, ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაო.—შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, თუ რა არის ჩემთვის დღევანდელი დღე?! თქვენგანვე გამიგია, რომ ქვეყანაზე არსებობენ ფრინველები, ყვავილები, პატარა ბავშვები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები. მე მხოლოდ მშობლიურ ზღვის სუნსა ვგრძნობ და მარტო მისი გუგუნი მგვრის სიხარულს. ზღვის სილრმისა არასოდეს არ შემეშინება... დედილო, აბა ერთი წარმოიდგინე! რომ ვერ ავიტანო... მაგრამ თუ ამ უბედურების გამოცდა მიწერია, ისევ მარტო ავიტან, როგორც ვაჟკაცს შეეფერება.

— მარტო!—წარმოსთქვეს ქალებმა.

— დიახ, მარტო! ადამიანი მხოლოდ მარტოობაში ლოცულობს. როდესაც ადამიანი მარტოა, მაშინ უფრო ახლოა ღმერთთან.

ქალები ტირილით ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, რომ ნება მიეცა მასთან დარჩენისა, მაგრამ ავადმყოფი თავისას გაიძახოდა.

— მარტოდ მინდა ყოფნა; მე მინდა მარტოკა ვიყო, რათა მოვემზადო ძვირფასთა სანახავად. მანამ არ დაგიძახოთ, არ შემოხვიდეთ. კარებსაც დავკეტავ. უნდა მოიცადოთ;—აბა ერთი წარმოიდგინეთ, მე რამდენი ვიცადე.

დედა და და ისე იყვნენ მიჩვეულნი იმის თხოვნის ასრულებას, რომ ხმის ამოუღებლივ ოთახიდან გავიდნენ.

ყმაწვილმა კარებამდე მიაცილა ისინი და გასაღები გადაატრიალა.

მარტო დარჩა ფერდინანდი და საქმეს შეუდგა. მაგრამ აცახცახებული ხელები როდი ემორჩილებოდნენ. მოთმინება ეკარგებოდა. მან მწარედ დაიკვნესა, დაიკვნესა, თუმც მთელი სიცოცხლის განმალობაში ყველაფერს ითმენდა და ურიგდებოდა. უცაბედად თავი სავარძელს მიარტყა და, თუმცა დიდი ხანია მისჩვეოდა ყოველგვარ ტკივილს, ხმა-მაღლა დაიწყო ტირილი ისე, როგორც მხოლოდ ბავშვები ტირიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, როგორც იყო, ძალ-ღონე მოიკრიბა და
თვალი გაიხსნა. გულ-გასაგმირავი ყვირილი აღმოხდა გული-
დან.

სინათლეს ხედავდა!

მაგრამ ყველაფერი, რასაც ხედავდა, მკრთალ ბურუსში
იყო გახვეული და საგნები ოდნავ მოსჩანდა. მერე, როდე-
საც თვალები გადაეწმინდა, საგნებმა უფრო გარკვეული
სახე მიიღო და გარშემო ბურუსიც თანდათან გაიფანტა.
აღელვებული ძლივს იდგა ფეხზე, ტორტმანობდა, ხელებს
ულონოდ ასავსავებდა, წინ იწევდა, რომ თავი დაეღწია
იმ უბედურებისათვის, რომელსაც გარს შემორტყმული საგნე-
ბი თითქოს უქადოდა. იგი ფანჯრის წინ მდგომ სავარ-
ძელზე მიესვენა.

ერთბაშად თავზარდამცემი შიში ეუფლა. უნდოდა სწრა-
ფად კარებს მივარდნოდა, მაგრამ არ იცოდა ირგვლივ საგ-
ნებში რომელი იყო კარები. უნდოდა ბრახუნი დაეწყო და
ქალებისთვის დაეძახნა.

მაგრამ ისე გაშტერდა, რალაცამ ისე შებოჭა და სავარ-
ძელს მიაკრა, რომ მარტო თავის გულის ძგერა ესმოდა და
ადგომის თავი აღარა ჰქონდა.

წყნარი, მოლრუბლული დღე იყო. ცა და ლეგა ფერის
ზღვა ერთმანეთში ინთქებოდა. ფანჯრიდან მხოლოდ ზღვის
ქვიშიანი ნაპირი ღა მოსჩანდა და შორს ზღვის სივრცეში
აფრა-გაშლილი ხომალდი მოცურავდა. ფერდინანდი შიშმა
აიტანა, არ იცოდა რა ერქვა ამ უცნაურ საგანს.

— ნუ თუ ფრინველია?!— გაიფიქრა მან და სწორედ ამ
დროს ცის ტატნობზე თეთრ-გულა ჩიტების გუნდი დაინახა.
ესენი უნდა იყვნენ ფრინველები,—გადასწყვიტა მან,—მაშ
ეგ უცნაური საგანი რალაა?!

იმას წარმოდგენა ჰქონდა გემის შესახებ,—მაგრამ წარ-
მოდგენა თავისებური—და ახლა ვერა გაეგო რა.

შიში ახლა სადღაც გაჰქრა... პირველმა გაშტერებამაც განვლო. მშვიდმა და წმინდა გრძნობამ მოიცვა ... დედის დაძახების სურვილმა გადაუარა.

თავი აღარ აზროვნობდა და აზრებიც გაჰყუჩებოდა. ვერ გაესაზღვრა თავის შთაბეჭდილებანი.

ამ დროს ტალღების შხუილი შემოესმა და ზღვა დაინახა: ნაპირებზე აქაფებულ ტალღებს ისროდა.

ნუ-თუ ზღვა — ეს უშველებელი, სხვა-და-სხვა ფერად მოელვარე სივრცეა, რომელიც ხან პრიალებს და ხან ბურუსში ინთქება.

ზღვის პირას გამხდარი ბიჭი გამოჩნდა და ისევ მიიმალა.—ნუ თუ იგი ადამიანი იყო?—ხელ-ახლად ჟრუანტელმა დაურბინა.

ლოდინით მოთმინება—გამოლეული დედა კარებს მიუახლოვდა ... წყნარად დაარაკუნა. მაშასადმე იქ კარები იყო. ავადმყოფმა დიდის გულმოდგინებით დაათვალიერა კარები. დედამ მეორედ დაარაკუნა. პასუხი მისცა და მორჩენის შემდეგ პირველად გაიგონა საკუთარი ხმა.

— ჯერ ადრეა,—სთქვა მან,—მე თვალ-ხილული ვარ, დედა!—დედის აღტაცებული შეძახება მოესმა.

როდესაც მიმავალ დედის ფეხის ხმა გაიგონა, ფრთხილად წამოხტა და წელში გაიმართა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა, დაეცა და მუხლის თავებზე ცოცვით საკარძელს მიუახლოვდა. ხელ-ახლა შიშმა შეიპყრო იგი და კუთხეში მიიკუნჭა. მაგრამ შიში თან-და-თან გაუქრა და ისევ გამოირკვა. დედამ ისევ დაურაკუნა კარები და კვლავ პასუხად მიიღო:

— ჯერ ადრეა, მოიცადე.

შვილმა გაიგო, როგორი სიყვარული გამოკრთოდა დედის თვითეულ სიტყვაში, მაგრამ იცოდა ისიც, რომ შემოვიდეს დედა, ვერ ავიტან იმის დანახვით გამოწვეულ სიხარულსაო. იგი კვლავ ცასა და ზღვას გაჰყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ მარტოობაში ორმა საათმა განვლო. პირველ-ბოლოს ბეჭდილების სიმწვავე გაქრა ჯ ახლა მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დედა კიდევ ორჯერ მიუახლოვდა კარებს, მაგრამ ორჯერვე უნუგეშოდ გამობრუნდა. თუმცა მომთმენი იყო, მაგრამ სამდურავი აღეძრა გულში დედისადმი.

— შემდეგ!—სთქვა მან თავისთვის და წყნარად გაიღიმა. მაგრამ ეს ღიმიც მსწრაფლ გაჰქრა მის სახეზე.

რა ხდება ირგვლივ?

იმან ხელი თვალებთან მიიტანა და ოდნავ დაისრისა, რადგან ჯერ კიდევ ტკივილსა გრძნობდა. ყმაწვილი ძალ-ღონეს იკრებდა და დაჟინებით გასცქეროდა მის წინ გადაშლილ სურათს. ნუ თუ ისევ უბრუნდებოდა სიბრმავე? თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. ცისა და ზღვის ერთგვარი ლეგა ფერი თითქო მუქდებოდა და ვრცელდებოდა. საგნები თავის სახეს თან-და-თან ჰკარგავდა და სივრცეს უერთდებოდა. ის ისევ ბრმავდებოდა. ამაში ეჭვი აღარ იყო. სულ რამდენიმე წუთის წინად ის მკაფიოდ არჩევდა მწვანე ბალახს, ზღვის პირად ლეგა ქვიშას. ახლა-კი ვეღარაფერს არჩევს გარემოცულ ბურუსში.

ერთი წუთის წინად იგი თვალს ავლებდა ტალღათა რხევას, მიმოსვლას. ახლა-კი... იგი უძრავად იჯდა სავარძელში და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ოთახის კედლები, ხალიჩა, სურათები, ჭერი, ავეჯეულობა მის თვალ-წინ ნისლში ინთქებოდა.

მას მოაგონდა იტალიელის გაფრთხილება, რომ მხედველობის დაბრუნება შესაძლებელია დროებითი იყოსო. ახლა-კი მკაცრი, ულმობელი ჭეშმარიტება შავი ღრუბელივით დააწვა, მოუკლა იმედი და გაუცრუვა ოცნება მომავლისა ისევ უკუნეთ წყვდიადს უნდა დაჰბრუნებოდა: კვლავ მუდმივი, საშინელი ღამე!! ერთი შეხედვა ამ წუთისოფლისა—და ისევ სიბნელე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წამი ქვეყნ.ს ხილვისა—და ულმობელ...ლე—უკუნეთი, სიკვდილამდე, სამარის კარამდე!.

მანამ ამ მქენჯნავსა და მწველ ფიქრებში იყო, სინათლე თან-და-თან ჰქრებოდა.

მისი ვაჟკაცობა იძლია და გულის სილრმიდან წყევაკრულვა აღმოხდა თავის ბედის მიმართ, რომელმაც ასე სასტიკად დასცინა, გასრისა. მხოლოდ ერთი წუთით მიეცა წუთი სოფლის ხილვის სიტკბოება, რომ მერე ისევ სამუდამოდ წართმეოდა. ერთი საშინლად შეჰყვირა, წამოდგა და თან-და-თან შეხშირებულ ჩვეულ ბინდში კარებისკენ გასწია, გადაატრიალა გასაღები, გააღო კარები და სამარისებურ სიჩუმეში მისი სასოწარკვეთილი ხმა გაისმა. წაბარბაცდა და გრძნობა დაჰკარგა...

როდესაც გონს მოვიდა, ეგონა, რომ წუთი-სოფლის საზღვარს იქით გადადგა ფეხი და საიქიოსკენ ჰქნა პირი. ნაზი ოქროს ფერი შუქი ავსებდა ჰაერს.

დედის სახე, რომლის შეხედვაც ისე აშინებდა, ახლოს იყო.

— მხედავ, ჩემო კარგო?

— ჰო! სიკვდილის შემდეგ ყოველისფერს მკაფიოდ ვხედავ,—მიუგო შვილმა.

დედამ თავი დახარა და აკოცა.

— ჩემო ძვირფასო ფერდინანდ,—ნაზად წარმოსთქვა მან,—შენ ცოცხალი ხარ, ჯერ ჩვენ მშვენიერ მიწაზე ხარ. შენ უკვე საღი ხარ. ნუ, ნუ ეჭვობ, დამიჯერე—ჩვენ უნდა მოგვემზადებინე, მაგრამ რა ვიცოდით.

— მე მეგონა, ვხედავ მეთქი,—ისევ უპასუხა ფერდინანდმა:—ალბად მომეჩვენა, მერე-კი სიბრმავე ისევ დამიბრუნდა.

— არა,—წარმოსთქვა დედამ, — შენ ახლაც ხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუდამაც თვალ-ხილული იქნებით,—წარმოსთქვა ბანმა, რომელიც მის ახლოს იდგა.

— დიაღ, — განაგრძო დედამ, —შენ მუდამ თვალ-ხილული იქნები: სიბრმავე-კი არ დაგბრუნებია,—აბა, არ ვიცი როგორ აგიხსნა,—ბინდდებოდა. სინათლე ყოველთვის ასე იკარგება, როდესაც ღამდება. ჩვენ ვამბობთ ხოლმე: დაბინდდა.

კაი ხანმა განვლო, სანამ ფერდინანდი ამ სიტყვას გაიგებდა..

თ. კარბელაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამჭკნარი ვარდი.

ალში შეველ, ბუჩქი ძირას
ვარდი ვპოვე ფერ-მიმკრთალი,
დილის ცვარი გულს უმკობდა,
მარგალიტის ვით მარცვალი;
ბალში ჩიტი ჭიკჭიკობდა
სმენის დამტკბობ ნეტარ ხმებზე,
ყოველივე ულიმოდა
შვებით შემკულ ქვეყნის მკერდზე!..
ცის გვირგვინი,—მნათობთ მეფე,
ოქროს თვლებით ბალს ამკობდა,
და დღის სხივი დამჭკნარ ყვავილს
თავს ციმციმით დაჰხაროდა!..
მაგრამ ვერა,—დილის ცვარი,
ვერც ჩიტუნა მხიარული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველარც სხივი პირ-მცინარი,
ცის შვენებით ფრთებ-მართული—
დამჭკნარ ყვავილს ვერ ჰკურნავდა,
და ის, ისევ ფერ-მიმკრთალი,
ბუჩქის ძირას ცრემლებს ღვრიდა,
უთვისტომო, ცოცხალ-მკვდარი!..

გელა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასჯილი მისწრაფება.



ერთ მიყრუებულ უბნის ქუჩაში, ქალაქის განაპირას, სადაც სახლები უფრო გომურებს მოგაგონებდათ, ვიდრე მეოცე საუკუნის ადამიანის სადგომებს, სადაც თვით მცხოვრებნი იმით თუ განირჩეოდნენ ცხოველებისაგან, რომ ბლავილის, ღმუილის და ყეფის მაგიერ ლაპარაკობდნენ,—აღძრული სიმშილით და წყურვილით, მოგროვილიყო რამდენიმე უპატრონო ქუჩის ძაღლი; მათ შუა იდგა ყველაზე უფრო საცოდავი, ცხოვრებისაგან დაბეჩავებული და დორბლების ყრით ორატოროობდა:

— ვის უნდიხართ, საბრალონო, აქ, ქალაქ ადგილას, სადაც დარაჯის ადგილი ადამიანს უჭირავს, სადაც განებივრებული მოქალაქენი ინახავენ ძაღლს, როგორც უმნიშვნელო გასართობ სათამაშოს, სადაც ძაღლის თეთრი ეშვი არაფრად ღირს?

— ვაშა, ვაშა! მართალი ხარ, არავის უნდივართ!—დაიგრიალა ერთხმად აქამდე გარინდებულმა კრებამ.

— გაგიგონიათ, ბატონებო,- ახლა უფრო შეგულიანებული განაგრძობდა თავის სიტყვას ორატორი—რომ ჩრდილოეთში, სადაც მზე ბეჟუტავს, როგორც ჭრაქი, სადაც ყინვა დაზუზუნებს, როგორც ცხარე შოლტი, და ერთად-ერთი

სრული ბატონია არე-მარესი, ძალლი უსაჭიროესი ეხმარებაო, მარჯვენა ხელია ადამიანისა, მისი უძვირფასესი მეგობარი, თანასწორია: მასთან ერთად ღვრის ოფლს საპატიო შრომაში, მხიარულია მისი ბედნიერებით და მწუხარეა მისი წუხილით?

— ნუ თუ არის სადმე ესეთი ნეტარი ქვეყანა? აღარ გვინდა აქ ყოფნა, მოსაბეზრებელი ცუდაობა, სამარცხვინო საშუალებით საკვების შოვნა! გაგვიძეღ წინ, წაგვიყვანე სამოთხეში, რომლის სურვილი გაგვიღვიძე! ვაშა, ვაშა ჩვენ დიდებულ ბელადს!—ხელ-ახლად დაიგრიალა მადა-გაღვიძებულმა მშიერთა კრებამ.

ამ ხმაურობაში ჯგუფს მიემატა შემთხვევით კიდევ რამდენიმე ძალლი, და ამგვარად შესდგა დიდი კრება. ასეთივე კრებები იმართებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას, რათა ეს ყრილობა არ შეემჩნიათ უფლების მქონეთ, და, ბოლოს, ერთხმად გადაწყვეტილ იქნა გამგზავრება ჩრდილოეთისაკენ მჭევრ-მეტყველ ორატორის მეთაურობით.

მაგრამ ძალლებს შორის ესეთი აოაჩვეულებრივი მღელვარება როდი დასტოვა ქალაქის მმართველობამ უყურადღებოდ და გადასწყვიტა დროზე ბოლო მოუღოს. სწორედ იმ დღეს, როდესაც იმათ დაეპირეს გამგზავრება და ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ დანიშნულ ადგილას, ქალაქმა გამოგზავნა რამდენიმე ეტლი გალიებით, ქამანდებით და მრავალი ძალლი ააწიოკა.

ამგვარად, გაუფრთხილებლობის გამო, სანატრელი ჩრდილოეთის მაგიერ, მათ ამოჰყვეს თავი სამარცხვინო ციხეში, გამოეთხოვნენ ტკბილ ოცნებას და დაისაჯნენ პატიოსანი მისწრაფებისათვის.

დავ. კილოსანიძე.

♠ ♠ ♠

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოტე ყიფიანი.



კოტე ყიფიანი.

ემო პატარა მკითხველო! დაუკვირდი შენ ტოლ-ამხანაგებს და დაინახავ, რომ ზოგი გულ-კეთილია, ზოგი—ბოროტი; ზოგი პირუტყვებს აწვალებს, ჩიტებს ბუდეს უნგრევს; ზოგი-კი არავის, არაფერს ხელს არ ახლებს; ზოგი ზარმაცია, ზოგი ბეჯითი.

სწორედ ამგვარივე განსხვავებაა დიდ ადამიანებშიაც. ზოგი კეთილია; ზოგი—ბოროტი; ზოგს ქვრივ-ობლები ებრალება, ზოგს—არა; ზოგი თვისი ხალხისა და ქვეყნისათვის ზრუნავს, ზოგი-კი მარტო თვისი თავისათვის. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია პატივი სცეს და შეიყვაროს ისეთი პირები, რომელნიც თავის სამშობლოს ემსახურებიან.

თქვენ-კი, ჩემო პატარა მკითხველებო, ასეთ პირებს უთუოდ, უთუოდ უნდა იცნობდეთ. თქვენ, რასაკვირველია, უნდა იცნობდეთ ცხოვრებას და მოღვაწეობას ყველა გამოჩენილ ადამიანებისას, ვინც უნდა იყვნენ ისინი და რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდენ; მაგრამ უწინარეს ყოვლისა ვალდებული ხართ გაიცნოთ ჩვენი მოღვაწენი, ჩვენი სამშობლოს მოამაგენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის ამგვარ მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნის ასევე კოტეც.

იცით, ვინ არის ძია კოტე?

როგორ არ იცით! ეს ჩვენი კოტე ყიფიანია.

კოტე ყიფიანი დაიბადა 1849 წელს.

მამა მისი იყო დიმიტრი ყიფიანი.

დიმიტრი ყიფიანს—ამ დიდებულ მოხუცს—უსათუოდ უნდა იცნობდეთ. დედას უთხარით რომ მისი სურათი გიყიდოსთ და ოთახში ჩამოგიკიდოსთ.

დამიტრი ყიფიანმა თავისი სამშობლო საკუთარ თავსა და ოჯახზე უფრო შეიყვარა და თავისი სიცოცხლეც სამშობლოს შისწირა მსხვერპლად.

სამაგიეროდ მთელი ქართველი ხალხი დღეს იმის სახელს მოწიწებით ახსენებს და მისი ხსენებაც დაუვიწყარი იქნება.

აი ამ დიმიტრის შვილია ჩვენი ძია კოტეც.

როცა კოტე თქვენსავით პატარა იყო, ჩემო ნორჩო მკითხველებო, ნამეტანი ცელქი იყო. მეტ სახელად იმას ხან დიდ--თავას ეძახდნენ, ხან პუტრიკ-პატროკიჩს; სწავლა-კი ძალიან უყვარდა და განსაკუთრებით ნიჭი გამოიჩინა მხატვრობაში.

კოტე ჯერ თბილისში სწავლობდა, შემდეგ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შევიდა, მაგრამ თვალები ასტკივდა და, მხატვრობისათვის რომ თავი არ დაენებებინა, სრულებით დაბრმავდებოდა. პეტერბურგიდან კოტე გადავიდა მოსკოვში, აქ დაამთავრა გიმნაზიის კურსი და შევიდა სატყეო-საგრონომიო აკადემიაში. აკადემიის კურსი დაასრულა და უმაღლესი სწავლით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში.

კოტეს შეეძლო სამსახურში შესულიყო და მალე დაწინაურებულიყო, რადგანაც იმ დროს უმაღლეს სწავლა-მიღებულთა რიცხვი ჩვენში მცირე იყო. კოტე მართლაც შევიდა პირველ ხანებში სამსახურში, მაგრამ მალე მიანება სამსახურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და დაადგა იმ გზას, რომელმაც მას საერთო ზეიმის-ცემა მოუხვეჭა.

რა გზა იყო ეს გზა?

ეს იყო ქართული სცენა და ქართული თეატრი.

დღეს ჩვენში არსებობს დრამატიული საზოგადოება, რომელიც ზრუნავს ჩვენი თეატრისათვის. დრამატიული საზოგადოება ირჩევს დრამატიულ კომგეობას რომელიც ინახავს მუდმივ დასს ქართველი მსახიობებისას.

წინად-კი, 1879 წლამდე, ასე არ იყო; მაშინ არც დრამატიული საზოგადოება არსებობდა, არც მისი გამგეობა, არც მუდმივი დასი და არც მუდმივი თეატრი.

მაშინ წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა,—ხან კლუბებში იმართებოდა, ხან კერძო ოჯახებში.

ჩვენში იყო რამდენიმე ოჯახი, რომელიც ქართული წარმოდგენების გამართვას განსაკუთრებით უწყობდა ხელს. ერთ ასეთ ოჯახს წარმოადგენდა დიმიტრი ყიფიანის ოჯახი. მაშინდელ წარმოდგენებში ხშირად დიმიტრი ყიფიანის შვილები იღებდნენ მონაწილეობას. თვითონ დიმიტრი-კი პიესებსა სთარგმნიდა უცხო ენებიდან ქართულად და სცენის მოყვარეებს ხელმძღვანელობას უწევდა, სცენაზე თამაშს ასწავლიდა.

ქართული წარმოდგენები სულ პირველად-კი 1850 წელს დაიწყო გიორგი ერისთავის, ანტონოვისა და ვორონცოვის მეთაურობით. ვორონცოვი იმ დროს მეფის მოადგილედ იყო საქართველოში. როგორც ამბობენ, კარგი ადამიანი იყო.

მან მოიწადინა ქართული წარმოდგენების მართვა, მაგრამ საქმე ქართულ პიესებში იყო.

როდესაც გაიგო, გიორგი ერისთავს კომედიები ჰქონია დაწერილი ქართულადო, მოიხმო და უთხრა:—აბა, ქართული წარმოდგენების საქმე უნდა მოაწყოო.

გიორგი ერისთავსაც ეს უნდოდა. იმან და ანტონოვმა

შეადგინეს დასი, თან თამაშობდნენ, თან პიესებსა სწერდნენ, ვორონცოვიც ფულით ეხმარებოდა, და გაიჩარხა საქმე.

ვორონცოვი აქედან გადიყვანეს; იმისმა მოადგილემ ქართულ სცენას ფულით დახმარება მოუსპო და უფულოდ-კი საქმე ჩაიშალა. აი იმ დღეს აქეთ ქართული წარმოდგენები ათასში ერთხელ თუ გაიმართებოდა ხოლმე როცა კოტე წამოიზარდა, ის ხშირად იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში. მისი თამაში ძალიან მოსწონდა ყველას. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა კოტე სცენაზე მოხუცებულების, დედა-კაცებისა და თავადიშვილების როლებს. წარმოდგენების საქმე კარგად ვერ მიდიოდა, რადგანაც მუდმივი დასი არ არსებობდა.

შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის გულ-შემატკივარნი დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი თუმანიშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძისა და სხვების მეთაურობით და გადასწყვიტეს: უსათუოდ უნდა დავაარსოთ დრამატიული საზოგადოება, ამოვირჩიოთ გამგეობა, შევადგინოთ მუდმივი დასი, რომ ქაუთული წარმოდგინებისა და ქართული თეატრის საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგესო.

თქმა იყო და ასრულება. აქ ჩამოთვლილმა პირებმა დიდი შრომა გასწიეს თუ წარმოდგენებით, თუ კერძო შემოწირულებით—შეაგროვეს ფული და შეადგინეს ქართული წარმოდგენების გასამართავად მუდმივი დასი. ეს იყო 1879 წელს. მას აქეთ არსებობს ჩვენში დრამატიული საზოგადოება, გვყავს საკუთარი დასი ნიჭიერი მსახიობებისა, გვაქს საკუთარი თეატრი. ამ მუდმივ დასში მოიწვიეს მსახიობად კოტე ყიფიანიც და მას აქეთ ძია კოტე ერთგულად ემსახურება ქართულ თეატრს.

თეატრი დროს-გასატარებელი დაწესებულება-კი არ არის; თეატრი—ივივე სკოლაა, სადაც ადამიანის წინ იშლება კეთილი და ბოროტი, კარგი და ავი, სიყვარული მოყვასისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმი და სიბრალული, შური, მტრობა და სიძულვილი, სასაქებო, წასაბაძი და გასაკიცხი მოქმედებანი და სხვა. როდესაც ყოველივე ამას ჩვენ ხშირად ვხედავთ, სულით ვმაღლდებით, ბოროტება ნელ-ნელა სტოვებს ჩვენ არსებას და შიგ კეთილი მასწრაფებანი ძლიერდებიან. და აი ჩვენი ერთი საუკეთესო მასწავლებელი, ჭკუის დამრიგებელი და ზნეობის ამმაღლებელი სცენიდან კოტე ყიფიანია. ის თითქმის მთელი ორმოცდა ხუთი წელიწადი გვასწავლის და გვიქადაგებს სცენიდან: შეიყვარეთ ქვრივ-ობლები, შეიყვარეთ თქვენი სამშობლო, ემსახურეთ თქვენ ხალხსა და ქვეყანას, ნუ ზრუნავთ მარტო თქვენთვის, სხვებიც უნდა გახსოვდეთ, იყავით სუსტისა და დაჩაგრულის მოსარჩლე და ქომაგი, განდევნეთ თქვენი გულიდან ბოროტება, შეიყვარეთ კეთილი, შური, მტრობა და სიძულვილი არ გაივლოთ გულში; ადამიანობას ყველაზე მაღლა უნდა აყენებდეთ; სახელსა და პატიოსნებას ყველაზე უფრო უნდა აფასებდეთ... აბა ვინ ჩამოსთვლის, რამდენ კარგს და საგულისხმოს გვიქადაგებდა ის და დღესაც გვიქადაგებს სცენიდან.

ძია კოტე მარტო გამოჩენილი მსახიობი-კი არ არის,— ის მწერალიც არის. მას ბევრი მოთხრობები და პიესები დაუწერია და დღესაცა სწერს.

აბა კოტე რომ ზარმაცი ყოფილიყო, ან თავისი ქვეყანა და მშობელი ერი არა ჰყვარებოდა, რითი შესძლებდა ამდენი საქმის გაკეთებას, მაგრამ ის მეტის მეტად მშრომელი კაცია, მეტის მეტად უყვარს თვისი ხალხი და ამიტომ მთელი თავისი სიცოცხლე შრომაში გაატარა: ხან სცენიდან გვარიგებდა გვასწავლიდა, ხან სწერდა.

თვისი ძალ-ღონე ძია კოტემ სამშობლოს სამსახურსა და წარმატებას შეალია და ამისთანა ადამიანი ჩვენ ყველამ უნდა შევიყვაროთ და უსურვოთ დღეგრძელობა.

ივ. გომართელი.

ელექტრონის სასწაულები *)

(წერილი მეორე).

1. უდაბნო და ოაზი.

ფრიკაში არის ერთი უშველებელი უდაბნო, რომელსაც ჰქვია **საქარა**. პატარა-კი არ გეგონოთ იგი: მიდიხართ ხუთი ათასი ვერსი და გარშემო მარტო მზისაგან საშინლად გახურებულ ქვიშას და ღორღს ხედავთ, რომელზედაც არ იზრდება არც ბალახი და არც ხე. ყველგან ერთსა და იმავე სურათს დაინახავთ—ქვიშას და ქვიშის გროვებს, ქვიშის გორებს. დაუმატეთ ამას იქაური, გახურებულ თონესავით მწვავი, ალაპლაპებული მზე, და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ ნამდვილი სურათი ამ ქვეყნისა.

ერთად-ერთი ნუგეში საქარის უდაბნოში მოგზაურებისათვის არის **ოაზები** (ეგვიპტური სიტყვაა, ნიშნავს სამოსა-

*) იხ. „ნაკადული“ № 9, 1913 წ.

უდაბნო—ქარავანი და ოაზი.

ხლოს), ე. ი. ისეთი ალაგები, სადაც მოიპოვება წყალი, ხეები და ამის გამო მცხოვრებნიცა.

ოაზების ბაღებში იზრდება ინდის-ხურმა, ატამი, ბროწეული, ფორთოხალი, ყურძენი, პური, ქერი, და სხვ. იქ ისე ძვირათა ღირს საბაღე თუ სათესი ადგილები, რომ თვითონ მცხოვრებნი უდაბნოების პირად ცხოვრებენ და გამოსადეგ მიწებს-კი ბაღებად ანუ რისამე დასათესად ხმაროობენ. ნიადაგი ოაზებში იგივე ქვიშაა, რაც საქარის სხვა ადგილებში, ხოლო აქ თუ იზრდება რამე, ეს სულ წყლისა და თბილი, ცხელი ჰავის წყალობაა.

ჩვენებურ კამბეჩს, ხარს და სხვა საქონელს საქარის უდაბნოში ერთ საათსაც არ შეუძლიათ გაძლება არა თუ ათი და ასი ვერსის გავლა, რადგან ფეხები ქვიშაში ჩაეფლობათ და ორიოდე ვერსის გავლის შემდეგ ძალა-გამოლეულები იქავე დაეცემიან.

ერთად-ერთი ცხოველი, რომელსაც შეუძლია ასეთ უდაბნოში ხანგრძლივი სიარული, არის **აქლემი**: ნელ-ნელა აბიჯებს იგი თავის ბრტყელ ფეხებს უდაბნოს გახურებულ ქვიშაზე და მიდის ერთი ოაზიდან მეორესაკენ. ბევრი შიმშილის და წყურვილის ატანა სჭირდება აქლემს ასედ უდაბნოში მოგზაურობის დროს, მაგრამ სხვა გზა არ არის. ისევ ამან უნდა გაუწიოს აქ ამხანაგობა ადამიანს, რადგანაც არც ერთ სხვა ცხოველს არ შეუძლია ამ მძიმე სამსახურის შესრულება. ხმელი, ეკლიანი ბალახები, რომლებიც აქა-იქ იზრდება უდაბნოში და პირსაც არ ახლებენ სხვა პირუტყვნი, შეადგენს აქლემის ერთად ერთ საზრდოს. რაც შეეხება წყალს, ადამიანები იკლავენ წყურვილს ტიკებით საგანგებოდ წამოღებული წყლით; აქლემები-კი ითმენენ ხშირად მთელი კვირების განმავლობაში წყურვილს, სანამ მივლენ რომელიმე ოაზამდის.

ასეთია სურათი უდაბნოსი.

საქარის უდაბნოში იცის ერთგვარი ქარიშხალი, რომელსაც დიდი კავშირი აქვს ჩვენ მიერ პირველ წერილში აღწერილ ელექტრონთან და გვწადია უფრო ნათლად აგიწეროთ ელექტრონის სხვა სასწაულები და მისი გულ-შემზარავი რისხვა-ოინები.

2. **სამალი** და **გუდანა** (კუდიანი ქარი).

სამალი არის მწვავი და საშინელი ქარი, რომელიც იცის უდაბნოებში. აქლემები და მათი პატრონები წინადვე იგრძნობენ ხოლმე მის მიახლოვებას, რადგანაც, წამოუბერავს თუ არა თუნდა სულ მცირე ქარი, ეს უეჭველი ნიშანია, რომ

სამალი უდაბნოში

იგი მალე **სამალად** (ქარტეხილად) გადაიქცევა და მაშინ მის რისხვას ველარაფერი გადურჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი გამოჩნდა ცაზე ღრუბელი, გაიზარდა, გაშავდა, ამ ფარა მზეს და დააბნელა არე-მარე. მაგრამ არ-კი გეგონოთ, რომ მარტო ღრუბელმა დააბნელა ასე; არა—ეს იმის ნიშანია, რომ ის შავი ღრუბელი უკვე ჩამოსწვდა უდაბნოს, აიტაცა ქვიშა და მოაქვს თან. აქლემებმა და მათმა პატრონებმა კარგად იციან, რასაც ნიშნავს ეს ღრისით დაბნელება და ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგებიან ხოლმე თავდარიგს. აქლემები წვებიან მიწაზე, პატრონები და მგზავრები იცვამენ წამოსასხმელებს, სხდებიან აქლემების გვერდით და ამ სახით სულგანაბულნი მოელიან ღვთის რისხვას და ვაებას...

აი მოაწია სამალმა ქარავნამდინაც. ნელი ქარი უკვე საშინელ ქარტეხილად გადაიქცა და ძლიერ სეტყვასავით წამოაყარა თავზე მთელი სხურები ქვიშისა და ღორღისა. გარშემო ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა: გაისმის საშინელი შხუილი და წუილი ქარისა; დრო-გამოშვებით ქარი ისეთი სიმძლავრით დაუბერავს ხოლმე, რომ თან იტაცებს მთელ გორებს ქვიშისას, გაშმაგებულად ატრიალებს ჰაერში და ასე ტრიალით მიაქვს ცისა და უდაბნოს უსაზღვრო სივრცისაკენ. ამას ჰქვიან **გუდანა** ანუ, როგორც ჩვენი ხალხი უძახის—**კუდიანი ქარი**. მერე, ერთი და ორი კუდით ხომ არ კმაყოფილდება გუდანა: ერთს მოჰყვება მეორე, მეორეს—მესამე, მესამეს—მეოთხე და ამგვარად იმართება მთელი კავშირი ცისა და დედამიწას შორის, იმართება ნამდვილი სოდომი, გამოწვეული ცისა და დედამიწის ელექტრონების შეერთებისაგან, ხშირად ზედი-ზედ რამდენიმე დღით.

გავიდა ხანი; ქარმა იკლო; ქვიშნარის კორიანტელიც დაწყნარდა და ჩვეულებრივი მყუდროება ჩამოვარდა. რა იქნენ ჩვენი აქლემები და მექარავნენი? ისინი როგორღაც არსად სჩანან. ასეც არის; ულმობელმა ქვიშამ და ღორღმა საუკუნოდ დამარხა ისინი თავის ზვინებ ქვეშ!.. ტყუილად-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უძახიან ამ ქარს უდაბნოების მცხოვრებნი სამალის (ბუ-ბული სიტყვაა, ნიშნავს მოშხამულს)...

ქუდიანი ქარი უდაბნოში

თქმა არ უნდა, რომ მუდამ ასე უბედურად არ თავდება სამალის ამოვარდნა უდაბნოში. უფრო ხშირად, იარიოდე სა-

ათის შემდეგ ქარი ჩადგება და მგზავრებიც მშვიდობიანად გადარჩებიან ხოლმე, მაგრამ მაინც ბევრ სიცოცხლეს იწირავს იგი.

მოგზაურები იწერებიან, რომ საქარის უდაბნოში ჩვენ ხშირად გვინახავს გზებზე მთელი გაშეშებული, მზისგან და ქვიშისაგან ქვასავით გამხმარი გვამები ამგვარად დაღუპულ მოგზაურებისაო. ისტორიაში სწერია, რომ ერთხელ სპარსეთის ორმოცდა ათი-ათას ჯარის კაცს უსწრო ასეთმა სამალმა და ყველა ისე დამარხა სარდლიან-სალდათიანად, რომ მთხრობელიც აღარ დარჩაო...

3. წყლის გუდანა.

მარტო უდაბნოში არ იცის გუდანები. არა ნაკლები და საშინელია თავისი მავნებლობით და ძლიერებით **წყლის გუდანები,** რომელიც იცის უფრო ზღვებსა და ოკეანებზე. შესანიშნავია, რომ წყლის გუდანები სწორედ ისევე ჩნდება, როგორც უდაბნოს გუდანები, და ასეც უნდა იყოს, რადგანაც აქაც იმავე ელექტრონისაგან, იმავე ცისა და დედამიწის ელექტრონების შეერთებისაგან წარმოსდგება. წამოვა ციდან შავი ღრუბელი, რომელიც თან ისვრის ყოველ მხარეზე მეხსა და ელვას, დასწვდება ზღვას, აიტაცებს წყალს და გასწევს გიჟური ტრიალით ზღვისა თუ ოკეანეს უსაზღვრო სივრცეში!..

ვაი იმას, ვინც ამ დროს შეეხეჩება მას: ყველას გაანადგურებს, ყველაფერს მიანგრ-მოანგრევს, მილეწ-მოლეწავს და ნაფოტებად და სიკვდილად აქცევს!.. მეზღვაურები, დაინახავენ თუ არა მათკენ მომავალ წყლის გუდანას, ნამდვილ ომს უცხადებენ: ზარბაზნებით ყუმბარებს ესვრიან და ამ ხერხით ხშირად გადირჩენენ ხოლმე თავსა.

სამწუხაროდ მარტო უდაბნოებით და ზღვა-ოკეანებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ კმაყოფილდება გუდანები. ესენი ზოგჯერ ხმელეთზედაც ჩნდებიან და ისევე ანადგურებენ ყველაფერს, როგორც უდაბნოში და ზღვაზე.



წყლის გუდანა ზღვაზე

1872 წელს, მაგალითად, სოფელ ლისკოვოში, ტვერის გუბერნიაში (რუსეთში), ერთმა ისეთმა საშინელმა გუდანამ (კუდიანმა ქარმა) გადიარა, რომ რამდენიმე წუთში ახვეტა მთელი სოფლის მზად დადგმული ძირები თივისა თუ პურისა და უუშორეს ტყეებსა და მინდვრებში მოფანტა. ხოლო გუდანამ, რომელმაც 1869 წელს გადაირბინა კოსტრომის გუბერნიაში (ესეც რუსეთშია), სულ ერთიანად ამოსრუტა წყალი იქაურ მდინარე სემინდიავკიდან და თევზებიანად ვინ იცის სად არ მიასხ-მოასხა იგი!..

ასევე ერთხელ გადმოვარდა გუდანა საფრანგეთში და ზედ თავზე დააყარა შეშინებულ მცხოვრებლებს აუარებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზი, რომელიც გუდანას წყალთან ერთად ზღვიდან ამოვიდა კრიფა.

უარესი ამბავი მოხდა 19 აგვისტოს 1845 წელს. ამ დღეს გადაირბინა გუდანამ საფრანგეთის ქალაქ რუანზე; ჯერ დაუბერა ძლიერმა ქარმა სამხრეთიდან; მერე ამოვარდა ასეთივე ქარი ჩრდილოეთიდან; ასტყდა საშინელი კორიანტელი და მრავალ-კუდიანი გუდანა; გაირბინა 50 ვერსი და მალე ისევ უკან მობრუნდა. თვითონ კუდები შავი და ბნელი იყო, თავი ღრუბლებს უწევდა და მთელ ამ სიმალლეზე ცეცხლსა და ალსა ჰყრიდა. გუდანას გზაზე ტყე დახვდა: მილეწ-მოლეწა იგი და გავიდა მინდვრად; დახვდა ახლა ჩითეულობის სამი ქარხანა; ესენიც ერთ წამში ნანგრევებად აქცია და დამარხა მთლად იქ მომუშავე ხალხი, ხოლო ფანჯრები, კარები, სახურავები, კოქები, კავები და კედლების ნაგლეჯები მეორე დღეს 25 ვერსის მანძილზე აღმოაჩინეს.

4. ქარტეხილი ანუ გრიგალი.

გუდანების სისქე ზღვებზე და ხმელეთზე ჩვეულებრივ უდრის რამდენიმე ათ, იშვიათად, რამდენიმე ას საჟენს. სულ სხვას ვხედავთ ქარტეხილის ანუ გრიგალის დროს: ქარტეხილი მოდის ხშირად მთელი ათასვერსიანი სიგანით; ამის შუა-გულს ჰქვია **გრიგალის თვალი.** დიადია ეს თვალი: სიგანე ამ თვალს, სულ უკანასკნელი, 60—80 ვერსი ექნება და იმით არის შესანიშნავი, რომ იმ დროს, როცა ამ თვალის მთელ სიგანეზე საამური მყუდროებაა, მას მარჯვნივ და მარცხნივ ქვეყნებში ენით გამოუთქმელი ქარტეხილი ღრიალებს და მსხვერპლს მსხვერპლზე იწირავს...

— ჩვეულებრივ ქარტეხილი რამდენიმე დღით წინ აცნობებს ხოლმე ქვეყანას თავის ამბავს: მყუდროებაა ყველგან, მაგრამ ჰგრძნობ რომ ბუნება რაღაცას აპირობს; მაღლა, ჰაე-

რში, პაწია, სუბუქი საგნები ირევიან; ნაწყვეტ-ნაწყვეტი თეთრი ღრუბლები ხან გამოჩნდება, ხან გაქრება და საღამოზე ხან წითლად და ხან ოქროს ფერად იღებება... მაღლა-კი, ესე 1—2 ვერსის სიმაღლეზე, ამ დროს უკვე გრიგალია ატეხილი, რომელიც ნელ-ნელა ქვეით იწევს და, ბოლოს, უეცრად თავს დაეცემა საწყალ დედა-მიწას ნამდვილ ტარტაროზ ქარტეხილად და ყველაფერს ჰღუპავს და ანადგურებს.

მერე, რას შვრება ქარტეხილი?—ვერც-კი ჩამოსვთლი ყველა იმ უბედურებას, რასაც იგი ქვეყანას აყენებს: აქ მთელ ციხეებს ანგრევს და მის დიდრონ ნაგლეჯებს ისე ათამაშებს ჰაერში, როგორც ჩვარს და ბუმბულს, მეორე ადგილას მიწასთან ასწორებს მთელი ქალაქებისა და სოფლების შენობებს და გადააქვს იმათი ნანგრევები რამდენიმე ათი და ოცი ვერსის მანძილზე; მესამე ადგილას ანადგურებს ტყეებს, ლეწავს და ავსებს ღელეებს; მეოთხე ადგილას აჩერებს წყლების მდინარებას: მდინარენი გუბდებიან, გადმოდიან ნაპირებზე ბ წაჰლეკავენ ხოლმე მთელ ქალაქებს, სოფლებს და ნათესებს...

ერთი ასეთი ქარტეხილის საშინელი რისხვა ჩვენ ისტორიაშიაც არის აწერილი. გარდმოცემა მოგვითხრობს როგორ დაესწრო წმინდა ნინო მირიან მეფისა და ქართველების დღეობას არმაზ კერპის სადღესასწაულოდ. აი როგორ არის აწერილი ეს ამბავი ჩვენს მაშინდელს ისტორიაში:

„მეის ადგგეს დასავლეთ ქარნი და ჭაერნი ღრუბელთა თანა, ხილვითა საშინელითა და ხმითა ზარისა ადსხდელისა ქუხილისათა, და მოჭბერნა ნიავმან მზისა დასავლისა მან სუნი მწარე და მერალი. რა დაინახა ხალხმა, რომ იგი მათზედ მოდის, იწყეს მსწრაფად სირბილად და შელტოლვად ქალაქთა და სოფელთა თვისათა და როცა ეგელანი გაიფანტნენ, მეუსეულად მოაწია იმ რისხვა—ღრუბელმა, მწარედ სასტიკმა, და მოიდო სეტყვა სწორი ქვისა, ორი ხელითაც ძნელად გასატეორცებელი, დაჭკრა კერპებსა და სულ მტვრად აქცია იგინი, დაარღვივნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღუდენი ქარითა სასტიკითა და შთაბნია იგინი ეროვნული ბიბლიოთეკა
რადთა შინა“...

ასევე საშინელია ქარტეხილები და უფრო უარესიც ზღვებსა და ოკეანებზე. ზღვები ღელავენ, თითქოს ქვეშიდან მათთვის ვისმეს მთელი ქვეყნის ცეცხლი შეუკეთებიათო. ისმის გემების ლაწა-ლუწი და სასოწარკვეთილი ძახილი მეზღვაურებისა გემებზე, რომლებსაც ასეთი ქარტეხილი თვალის დახამხამებაში უმტვრევს ანძებსა ⁄ თვით გემებს-კი უფსკრულში ჩნთქავს. ჰაერში ისეთი წარმოუდგენელი ჯოჯოხეთური გრი-

ქარტეხილი ზღვაზე

ალი დგას, რომ თვით ჭექა-ქუხილის ძლიერი ხმაც აღარ ისმის ამ დროს. ქარტეხილი საშინელი სისწრაფით მოძრაობს, საათში გარბის სულ მცირე—160—200 ვერსს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მეცნიერ რეკლიუს გამოანგარიშებით, 5 ღვინობისთვეს 1844 წელს, ისეთი ძლიერი ქარტეხილი იყო კუნძულ კუბაზე, რომ ხუთჯერ მეტ ძალას შეიცავდა, ვიდრე მთელ დედამიწაზე ცხოველები, ადამიანები და არსებული მანქანები შეიცავენო!..

საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ქარტეხილი საზოგადოდ საშინელს ზარალს აყენებს იმ ქვეყნებს, სადაც-კი ამოვარდება ხოლმე ეს ღვთის რისხვა. საშიშია იგი მეტადრე ზღვების პირად, რადგანაც ასეთი ქარტეხილი ‹ღებს დიდ მანძილზე ზღვის წყალსა და ისე ძლიერად გადმოასხამს ნაპირებს, რომ ყველაფერს ანადგურებს. იყო შემთხვევები, რომ ქარტეხილს დაუწყვეტია ღუზები და მთელი ხომალდები ნაფოტსავით შორს ხმელეთზე გადაუტყორცნია. გარდა ამისა იმავ დროს იგი ჰლუპავს აუარებელ თევზს და ზღვის სხვა ცხოველებს. აი ზოგიერთი მაგალითები ქარტეხილის რისხვა-საშინელებისა.

10 ღვინობისთვეს, 1870 წელს, ერთი ასეთი რისხვა— ქარტეხილი ამოვარდა კუნძულ ბარბადოსზე (ამერიკაშია): დალეწა ყველა ხეები, დაანგრია ყველა შენობები და დამარხა რამდენიმე ათასი მცხოვრები. ქარტეხილი აქედან გადავარდა მეზობელ კუნძულ სანტა-ლუჩიაზე; ნავთ-სადგურში იმ დროს იდგა ინგლისელების სამხედრო სტოლა (ხომალდები): რამდენიმე წამში გაანადგურა მთელი ეს სტოლა და შემდეგ გადვიდა თვით კუნძულზე, სადაც დანგრეულ შენობების ქვეშ დამარხა რვა ათასზე მეტი მცხოვრები. აქედან ქარტეხილი ახლა მესამე კუნძულზე, მარტინიკაზე, გადავიდა. აქ იმ დროს იდგა ფრანგების ორმოცამდის სამხედრო ხომალდი ოთხი ათასი ჯარით, გაანადგურა ისინი, გადვიდა ქალაქ სენ-პიერზე, ერთ წამში მთლად მიწასთან გაასწორა და აქაც რვა ათასამდის სული დამარხა ნანგრევების ქვეშ... ქარტეხილი აქედან ახლა სხვა კუნძულებზე გადავიდა და იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრომდე არ დაწყნარდა, სანამ ოკეანეს შუა საზღვრებს ნაბიჯი უწია...

გამოიანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ ბარბადოსის ქარტეხილმა სულ სამოცი ათასი მცხოვრები იმსხვერპლა...

ასეთი ძალაა ელექტრონი: იგი ხან თვისი მიმზიდველი, ნაზი სინათლით და ფერებით გვატკბობს და გვასიამოვნებს, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთის ციმციმის დროს, ხან, მაგიერში, სულ სხვაგვარად გვაცნობებს ჩვენ თავის თავს სამალის, გუდანების და ქარტეხილების დროს: ყველა ეს რისხვანიც მისი ღვიძლი შვილებია...

ივ. როსტომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი თამარ შარაშიძეს-მიერ)

ნაცვალ სახელი , სატაახტო ქალაქი უცხოეთში ,

ცხენს როგორ ერეკებიან? , ო — " " ,

ვ ქ , მელიამ მოწ-მედ ვინ მო-იყვანა. , " პატარა ქალის სახელი ,, ბ "

ჩ , ა , ,

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1913 წ. ჟურნალ „ნაკადულისა.“

მოზრდილთათვის.

ლექსები:

დ. ახვლედიანისა.

მილოცვა . . . . . იხ. № 1
ზამთარი . . . . . „ № 2
მწყემსის სიმღერა . . . . . „ № 3

ნ. ჩხიკვაძე

ბულბული და ვარდი . . . . . „ № 1
* * * . . . . . „ № 3
მომავალს . . . . . „ № 6

ილია რუხაძე

ზამთრის სურათები . . . . . „ № 1

ი. გრიშაშვილი.

ძღვნად ლადოს . . . . . „ № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. მჭედლიშვილი

წადი ზამთარო! . . . . . იხ. № 3
დაიძინე . . . . . „ № 8
ობოლი ისო და პატარა ნუნუ . . . „ № 9
„ „ . . . . . დასასრული. „ № 10

ბ. ახოსპირელი

გაზაფხულის ბნელ ღამეს . . . . . № 8
დედის გული . . . . . № 12

ლადო გეგეჭკორი

გაზაფხულის დილა . . . . . იხ. № 3

შიო მღვიმელი

მკაში . . . . . „ № 11

ირ. ევდოშვილი

ბავშვების ტირილი,-ლექსი ნეკრასოვისა (თარგმანი) „ № 4

ლ. წ.

მამა და შვილი (ძველი თქმულება) . . „ № 11

ს. ფაშალიშვილი

გამოზაფხულდა . . . . . „ № 5

სიმ. მუხისძირელი

წყარო და პატარა . . . . „ № 6

ი. სიხარულიძე

სურათი . . . . . „ № 7
ბახმარო . . . . . „ № 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროს სიმღერა . . . . . „ № 10

ცისკარი . . . . . „ № 12

ვ. გორგაძე

შობა ქრისტესი . . . . . „ № 12

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი:

ვაჟა-ფშაველა

ბუნების მგოსნები . . . . . „ № 1

„ „ (დასასრული) . . . „ № 2

ეკ. გაბაშვილისა

ტარაბოშის გორასთან. . . . . „ № 1

მარიამ იაშვილი

უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი მოთხრობა

ე. დ'ერვილისა (თარგმანი) . . . „ № 1

„ „ (შემდეგი) . . „ № 2

„ „ „ . . „ № 3

„ „ „ . . „ № 4

„ „ „ . . „ № 5

„ „ „ . . „ № 6

„ „ „ . . „ № 7

„ „ „ . . „ № 8

„ „ „ . . „ № 9

„ „ „ . . „ № 10

„ „ „ . . „ № 11

„ „ (დასასრული) . . „ № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე.

კოტეს დანაშაული,—პიესა სამ მოქმედებად . იხ. № 2
„ „ (დასასრული) . . „ № 3

კონა

ბედნიერი შემთხვევა . . . . . „ № 2
„ „ (დასასრული) . . „ № 3

ნ.

ზღაპარი,—იზრაილ რიბინოვიჩისა (თარგმანი) . „ № 3
წიგნის ფურცელი (თარგმანი) . . . „ № 7

ა. გველესიანი

ბიძია კორნილის წისქვილი (ფრანგულით) . „ № 8
„ „ (დასასრული) . „ № 9

ირ. ევდოშვილი..

გაზაფხული . . . . . „ № 4
მოვიტანე . . . . . „ № 5

დავ. კილოსანიძე

გულუბრიყვილო ბუზი (იგავ-არაკი) . . . „ № 5

დ. თურდოსპირელი

შეხვედრა . . . . . „ № 7
ია . . . . . „ № 8

ალ. მირიანაშვილი

მეჩოხე (იგავი) . . . . . „ № 8
სირაჯი (იგავი) . . . . . „ № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. როსტომაშვილი.

ფარნაოზ მეფე (ისტორიული მოთხრობა) . . იხ. № 5
„ „ (შემდეგი) . . „ № 6
„ „ (დასასრული) . . „ № 7

ვ. თამროშვილი.

მეგობრები . . . . . „ № 4

ნ. ლ—რი

ხერხი სჯობია ღონესა (ისტორიული მოთხრობა) „ № 11

მაგიტა

რა ნახა პატარა ბიჭმა, როცა უძრავად იჯდა,
მოთხრობა რობერტსისა (თარგმანი) . . „ № 10

გ. გარიყული

თავის ოჯახში. . . . . „ № 12

ლეო იმნაძე

ვისიკო . . . . . „ № 12

ბ. ახოსპირელი

სკოლის ბიჭების თავგადასავალი . . . „ № 8

მ. კლიმიაშვილი

სტეფანეს შვილი (თარგმანი) . . . . „ № 6
„ „ (დასასრული) . . „ № 7

ნოშრევან მერკვილაძე

ჭინჭრაქა (ლეგენდა) . . . . . „ № 6

გ. ლ.

ორკლასიანი . . . . . „ № 9
„ „ (დასასრული) . . „ № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული წერილები

მ. ჯანაშვილი

საქართველო (რწმენანი და ჩვეულებანი)	იხ.	№ 1
„ „ (შემდეგი)	„	№ 2
„ „ „	„	№ 3
„ „ „	„	№ 4
„ „ (დასასრული)	„	№ 5

ალ. მიქაბერიძე

მითოლოგია: ტროადის ომი	„	№ 1
„ „ (შემდეგი)	„	№ 2
„ „ „	„	№ 3
„ „ „	„	№ 5
„ „ „	„	№ 6
„ „ „	„	№ 9
„ „ „	„	№ 10
„ „ „	„	№ 11
„ „ „	„	№ 12

X

რომანოვთა გვარეულობის 300 წლის იუბილეის გამო	„	№ 4

შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება

დავით კასრაძე

ვლადიმერ ალექსი—მესხიშვილი	„	№ 3

ილია ნაკაშიძე

არჩილ ჯორჯაძე	„	№ 3
სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა (ილია ჭავჭავაძის ხსოვნას)	„	№ 5

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ლ.

ნეკრასოვი . . . . . იხ. № 4

ალ. მიქაბერიძე

ლუარსაბ ბოცვაძე . . . . . „ № 9

თეო კანდელაკი

დიდებული მწყემსი . . . . . „ № 8

აპ. წულაძე

კეთილი მამა (ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის 30 წლის იუბილეის გამო) . . . . „ № 10
„ „ (დასასრული) . . . . „ № 11

სამეცნიერო წერილები

გ. ანთელიძე

ბუნებრივი შერჩევის კანონი . . . „ № 1
უჯრედები და ქსოვილები. შედარებითი ანატომიიდან აღებული ფაქტები, რომელნიც ამტკიცებენ ცხოველების სახეთა საერთო წინაპართაგან წარმოშობას . . . . . „ № 2
„ „ (შემდეგი) . . . . „ № 6
„ „ (შემდეგი) . . . . „ № 7
„ „ (დასასრული) . . . „ № 8

ილია ნაკაშიძე

ველურთა კეთილი თვისებანი . . . „ № 8

მინადორა ტოროშელიძე

ტერმიტები (თარგმანი) . . . . . „ № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. როსტომაშვილი

ელექტრონის სასწაულები . . . . „ № 9

ი. მექანარ-შვილი

გუთანი ქართლში . . . . . „ № 11

სხვა და სხვა ამბავი

1912 წლის შინაური მიმოხილვა მეგობრისა. . „ № 1
ორი დღესასწაული . . . . . „ № 1
ქიმთა და ბუნების მეტყველთა კრება ილია ნაკაშ-
ძისა . . . . . „ № 6
შიმშილობა დასავლეთ საქართველოში, მაგიტასი „ № 12

დამატებანი

ნოტები: სიმღერა „გავლესოთ ძმებო ნამგალი“
ზაქ. ფალიაშვილისა . . . . . „ № 3
შინაარსი 1912 წ. ჟურნ. „ნაკადულისა“ . „ № 1

ყველა ნომერში ჩართულია სურათები და ყველა ნომერში არის გასართობი: შარადები რებუსები და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა